

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2011, №1

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი

პ რ ო ც ე ს ი

1. მხარეები პროცესში
 - გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი
 - სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა
 - საპროცესო უფლებამონაცვლეობა
2. სარჩელის გამოხმობა
3. უფლებამონაცვლეობა
 - კერძო საჩივარი უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერებაზე
 - საპროცესო უფლებამონაცვლეობა
 - უფლებამონაცვლის დადგენა (დანიშვნა)
 - უფლებამონაცვლის დადგენა ახალისარჩელის შეტანის გზით
4. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით
5. მტკიცებულებები
 - მტკიცებულებების დედნის სახით წარმოდგენა
 - მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ, ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა და განხილვა

1. მხარეები პროცესში

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

-ბს-1060-1018 (კს-09) 16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: განცხადების მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 26 იანვარს მ. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს მიმართ, რომლითაც 2005 წლის 7 ივლისის -27 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს 2005 წლის 7 ივლისის -27 პ/შ ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-მისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოცემულ საქმეზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება მ. გ-მისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და მ. გ-მის სარჩელი ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაევალა მ. გ-მისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს მ. გ-მემ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. ამავ პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. გ-მეს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებაზე მ. გ-ძის განცხადების საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ 2007 წლის 26 ივლისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მ. გ-ძის განცხადების საფუძველზე საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 16 აგვისტოს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2007 წლის 28 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2009 წლის 8 აპრილს განცხადებით მიმართა მ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოვალის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფლებამონაცვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით მ. გ-ძეს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 8 აპრილს მ. გ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფლებამონაცვლედ ცნობა. საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 მაისის განჩინებით მითითებული სასარჩელო განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მეხლის მე-2 ნაწილსა და ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ეს იყო ისეთი შემთხვევა, როცა ორ სასამართლოში შეტანილი იყო განცხადება, იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე, რაც განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. გ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ვინაიდან არსებობდა ორი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები, მათზე შესაბამისი სასამართლოს მიერ ცალ-ცალკე გაცემული ორი სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო წარმოებისას გაირკვა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ვერ აღსრულებოდნენ, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება წარმოადგენდა არა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილებას. ორივე სააღსრულებო ფურცელი მ. გ-ძეს დაუბრუნდა შეუსრულებელი სახით.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე და ითხოვდა 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რათა მომხდარიყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მანვე ანალოგიური მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც წარადგინა სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მიერ განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვე-პუნქტის მითითებას და განმარტავს, რომ სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი განცხადების მიღებაზე, ვინაიდან მისი მოთხოვნა, ერთ შემთხვევაში, წარმოადგენდა სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოვალის უფლებამონაცვლის შეცვლას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მ. გ-მის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის განჩინებით დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს 2005 წლის 7 ივლისის -27 კ/შ ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სააპელაციო საჩივრების განხილვის შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით, მ. გ-მისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება მ. გ-მესათვის იძულებით განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და მ. გ-მის სარჩელი ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაევალა მ. გ-მისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 16 აგვისტოს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალედ მითითებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველო. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებაზე 2007 წლის 26 ივლისს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალედ მითითებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს 2007 წლის 10 ოქტომბრის -41/33-2-2853 წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ, ვინაიდან სამმართველო არ წარმოადგენდა იურიდიულად და ფინანსურად დამოუკიდებელ ორგანიზაციას, მოკლებული იყო შესაძლებლობას, აღსრულებინა სასამართლო გადაწყვეტილება როგორც ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე - განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოსადმი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2008 წლის 25 იანვრის -01/32 წერილით დგინდება, რომ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო ორი - სააპელაციო პალატის მიერ 2007 წლის 26 ივლისს გაცემული -3ბ/1954-06 და საქალაქო კოლეგიის მიერ 2007 წლის 16 აგვისტოს გაცემული -3/1051-06 სააღსრულებო ფურცელი. აღმასრულებელი ითხოვდა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, წერილობით ეცნობებინა, იმ დროისათვის თუ ვის კომპეტენციაში

შედიოდა აღნიშნული სააღსრულებო ფურცლების მოთხოვნათა შესრულება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს 2008 წლის 22 თებერვლის წერილით აღმასრულებელს მისივე 2008 წლის 25 იანვრის -01/32 წერილის საფუძველზე ეცნობა, რომ მას სასამართლოს გადაწყვეტილებით ისე დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომ არ გარკვეულა, ჰქონდა თუ არა მას აქტის გამოცემის უფლება, რაც შეუძლებელს ხდიდა გადაწყვეტილების (სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნათა) აღსრულებას ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს მიერ. რაც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას (ასევე ფინანსური საკითხების გადაწყვეტას), აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილებას.

დადგენილია, რომ 2008 წლის 13 ნოემბერს მ. გ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფლებამონაცვლის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. ამავე კოლეგიის 2008 წლის 24 დეკემბრის საოქმო განჩინებით მ. გ-მის განცხადება დარჩა განუხილველად განცხადების გამოხმობის მოტივით. საქმეზე წარმოდგენილი მასალებით ასევე დგინდება, რომ მ. გ-მემ 2009 წლის 8 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა. აღნიშნული სარჩელით დგინდება, რომ მ. გ-მე ითხოვს ამავე კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილი მოვალე პირის უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით მ. გ-მის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2009 წლის 8 აპრილს მ. გ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოვალის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტრანსპორტის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფლებამონაცვლის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ცნობის მოთხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით მ. გ-მეს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვლისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწერსიგებს მსგავს ურთიერთობას. სააპელაციო პალატა დაეყრდნო, რა აღნიშნულ ნორმას განცხადების უარის თქმის საფუძველად მიუთითა ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს (ამ შემთხვევაში განცხადებას), თუ ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული სარჩელი და სააპელაციო პალატისადმი წარდგენილი განცხადება, მათი ელემენტებით წარმოადგენდა ერთსა და იმავე დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მიერ ორი სასამართლოსადმი წარდგენილ მოთხოვნათა იგივეობის დადგენისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი საგნისა და საფუძვლის იგივეობას. ეს ნიშნავს შემდეგს: როგორც მოთხოვნის შინაარსი - მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა, ისე მოთხოვნის საფუძველი, ე.ი. ფაქტები, რომლებიც საფუძველად უდევს ამ მოთხოვნას, უნდა იყოს იდენტური. თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის სხვადასხვაობა გამორიცხავს სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში ესაა საქართველოს სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრისა და თბილისის სააპე-

ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ექვემდებარება აღსრულებას. შესაბამისად, თითოეულზე გადაწყვეტილებების გამომტანი სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცლები, რომლებიც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ცალ-ცალკე წარმოადგენდა სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს. სააღსრულებო წარმოება წარიმართა ორივე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით, მაგრამ აღსრულება ვერ მოხერხდა. აღსრულების პროცესში ორივე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო გახდა მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა ეს არის მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზედაც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის, პროცესის დასრულების შემდეგაც, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. ამდენად, თითოეული გადაწყვეტილების აღსრულებამდე დასაშვებია მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა. ამასთან, უფლებამონაცვლეობის დადგენის წესი განსაზღვრულია "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლით, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც უფლებამონაცვლეობა ნათელია და ასევე შემთხვევას, რომლის დროსაც უფლებამონაცვლეობის დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ შედგენილი დოკუმენტით. ორივე შემთხვევა გულისხმობს განსხვავებული სამართალწარმოების წესს. პირველ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის დადგენა შესაძლებელია განცხადების საფუძველზე იმავე სამართალწარმოების გაგრძელებით, ხოლო მეორე შემთხვევა გულისხმობს ცალკე სამართალწარმოების დაწყებას სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹ მუხლი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესს, რაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მეშვეობით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით გათვალისწინებული აღსრულების პროცესში წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისა და ამ პროცესის სწორად წარმართვის მიზნით. ამდენად, ერთ-ერთი სასამართლოს მიერ მისსავე გადაწყვეტილებაზე მოვალის უფლებამონაცვლის დადგენა, ქმნის შესაძლებელობას, გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი მხოლოდ ამ გადაწყვეტილებაზე ახლად დადგენილი მოვალის მიმართ. აღნიშნული ვერ გახდება სხვა სასამართლოს (ზემდგომი სასამართლოს) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დადგენილი მოპასუხე პირის (მოვალის), თუნდაც იმავე სარჩელის ფარგლებში, უფლებამონაცვლეობის ავტომატურად დადგენისა და მის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. გ-ძის მიერ არჩეული საპროცესო ფორმის მართებულობისა და მისი საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს განცხადების არსებითად განხილვის საგანს. კერძო საჩივრის განხილვის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, სწორად იქნა თუ არა გამოყენებული სააპელაციო პალატის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, თითოეული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას წამოჭრილი საკითხის განხილვა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ სწორი საპროცესო ფორმით. ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. გ-ძის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა ორი სხვადასხვა გადაწყვეტილებით, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებებს, თავისთავად ქმნის მ. გ-ძის მიერ სხვადასხვა სასამართლოსადმი დაყენებული მოთხოვნების განსხვავებულ საფუძველს, რაც გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე განცხადების მიღებაზე უარის თქმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. გ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე განცხადების მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინება და საქმე განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი

განჩინება

-ბს-519-499(2კ-10) 7 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა გ. გ-ანის, ლ. მ-ძის, ა. ჭ-შვილის, ა. მ-ძის უფლებამონაცვლე ლ. მ-ძის, მ. ვ-ევის, ი. ჟ-ენტის უფლებამონაცვლე ც. ჟ-ენტის, გ. ქ-ვას, ე. ს-ოვის უფლებამონაცვლე ა. ს-ვას, გ. ა-ანის, ა. მ-ოვის, ა. მ-ელის, ხ. წ-შვილის, რ. ლ-ძის, ვ. ნ-შვილის, ა. ს-ელის, ა. ბ-ძის, ა.პ-ას, ი. ვ-ვას, ჯ. ხ-ანის, გ. ლ-ძის, ტ. ს-ვას, მ. ზ-ვას, ლ. გ-შვილის უფლებამონაცვლე დ. გ-შვილის, გ. ს-ძის, დ. ქ-ძის, ა. ხ-ანის, თ. ე-შვილის, მ. გ-ძის, შ. თ-ძის, ც. ჭ-იას, თ. მ-ძის, ვ. გ-კოს, ა. პ-შვილის უფლებამონაცვლე მ. ბ-შვილისა და თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, მესამე პირები - სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა - გ. გ-ანის, ლ. მ-ძის, ა. ჭ-შვილის, ა. მ-შვილის უფლებამონაცვლე ლ. მ-ძის, მ. ა-ვის, ი. ჟ-ენტის უფლებამონაცვლე ც. ჟ-ენტის, გ. ქ-ვას, ე. ს-ოვის უფლებამონაცვლე ა. ს-ვას, გ. ა-ანის, ა. მ-ოვის, ა. მ-ელის, ხ. წ-ლის, რ. ლ-ძის, ვ. ნ-შვილის, ა. ს-ელის, ა. ბ-ძის, ა. პ-კას, ი. ვ-ვას, ჯ. ხ-ანის, გ. ლ-ძის, ტ. ს-ვას, მ. ზ-ვას, ლ. გ-შვილის უფლებამონაცვლე დ. გ-შვილის, გ. ს-ძის, დ. ქ-ძის, ა. ხ-ანის, თ. ე-შვილის, მ. გ-ძის, შ. თ-ძის, ც. ჭ-იას, თ. მ-ძის, ვ. გ-კოს და ა. პ-შვილის უფლებამონაცვლე მ. ბ-შვილის მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა წარდგინებით მიემართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელებისათვის 2001 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის 17 აგვისტომდე არსებული ყოველთვიური სარჩოს დავალიანების ანაზღაურების შესახებ; სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2007 წლის 17 აგვისტოს შემდგომ ყოველ მომდევნო თვეში დანიშნული სარჩოს გადახდის უზრუნველსაყოფად წარდგინებით მიმართვის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2009 წლის 3 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა მოსარჩელეთა წარმომადგენელმა და განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გამორჩენილი იყო მოსარჩელე ი. ჯ-ძე, ხოლო მ. ვ-ევის ნაცვლად მითითებული იყო მ. ა-ევი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად ითხოვა ზემოაღნიშნული შეცდომის გამოსწორება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ნოემბრის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შესწორება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში და მოსარჩელე მ. ა-ევის ნაცვლად მიეთითა მ. ვ-ევი, ხოლო მოსარჩელე მხარის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მოსარჩელედ - ი. ჯ-ძის მითითების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილებაში გამორჩენილი იყო მოსარჩელე - ი. ჯ-ძე, ვინაიდან, აღნიშნული პირების მიმართ სასარჩელო განცხადება წარმოებაში არ იყო მიღებული და იგი მოსარჩელე მხარედ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში არ ფიქსირდებოდა. საქალაქო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებაში მოხსენიებული იყო მხოლოდ თ. ჯ-ძე, რომლის მიმართაც სასამართლოს უარი ჰქონდა ნათქვამი სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა განცხადების ამ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ნოემბრის განჩინებაზე თ. ჯ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. გ-ანმა, ლ. მ-ძემ, ა. ჭ-შვილმა და სხვა ფიზიკურმა პირებმაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფიზიკური პირების - გ. გ-ანის, ლ. მ-ძის, ა. ჭ-შვილისა და სხვათა (სულ 33 ფიზიკური პირის) სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს ასევე გ. გ-ანმა, ლ. მ-ძემ, ა. ჭ-შვილმა, ა. მ-ძის უფლებამონაცვლე ლ. მ-ძემ, მ. ვ-ევმა, ი. ჟ-ენტის უფლებამონაცვლე ც. ჟ-ენტმა, გ. ქ-ვამ, ე. ს-ოვის უფლებამონაცვლე ა. ს-ვამ, გ. ა-ანმა, ა. მ-ოვმა, ა. მ-ელმა, ხ. წ-შვილმა, რ. ლ-ძემ, ვ. ნ-შვილმა, ა. ს-ელმა, ა. ბ-ძემ, ა.პ-ამ, ი. ვ-ვამ, ჯ. ხ-ანმა, გ. ლ-ძემ, ტ. ს-ვამ, მ. ზ-ვამ, ლ. გ-შვილის უფლებამონაცვლე დ. გ-შვილმა, გ. ს-ძემ, დ. ქ-ძემ, ა. ხ-ანმა, თ. ე-შვილმა, მ. გ-ძემ, შ. თ-ძემ, ც. ჭ-იამ, თ. მ-ძემ, ვ. გ-კომ, ა. პ-შვილის უფლებამონაცვლე მ. ბ-შვილმა და მათ შორის - თ. ჯ-ძემ.

საკასაციო სასამართლო გაეცნო ზემოაღნიშნული ფიზიკური პირების საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი განუხილველი უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. ჯ-ძე მოცემულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს მხარეს და არც მესამე პირს, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით თ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნა მის მიმართ გამოტანილი და არც საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება შეეხება მის ინტერესებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ. ჯ-ძე სა-

ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე არ არის უფლებამოსილი, საკასაციო საჩივარი შეიტანოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 401-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 401-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. განუხილველი დარჩეს თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა

განჩინება

- ბს-1147-1115 (უს-10) 11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლეების) საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 14 აგვისტოს ო. კ-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და მესამე პირის - ვ. კ-ძის მიმართ.

მოსარჩელემ ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7 ივლისის -11.149.11 გადაწყვეტილებისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის -7/2-119 დადგინებების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის -17.404.25 გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა მოითხოვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. კ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ბათილად იქნა ცნობილი ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დიდუ-

ბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობამ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 აპრილის განჩინებით დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება გ. კ-შვილი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. კ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის -7/2-119 დადგენილება და მოპასუხეს - დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ს. ნ-ოვის სახლთმფლობელობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევა; სასარჩელო მოთხოვნა ჩულურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7 ივლისის - 11.149.11 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის - 17.404.25 გადაწყვეტილების კანონიერად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ო. კ-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ო. კ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის -7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობისა და დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობისთვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ო. კ-ოვის გარდაცვალების გამო, უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით განახლდა მოცემული საქმის წარმოება; ო. კ-ოვის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ მისი შვილები - ე. კ-ოვი და გ. ყ-ელი.

2010 წლის 19 ივლისს ე. კ-ოვმა და გ. ყ-ელმა (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლებმა) განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებლებმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, ... ქ. -3/ ... ქ. -54-ში მდებარე, ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-ანის მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს.

განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ სადავო აქტით აღდგენილ სახლთმფლობელობაზე, 2010 წლის 28 მაისიდან საჯარო რეესტრში მესაკუთრის უფლებით აღრიცხული იყო ს. ნ-ანი, როგორც კანონისმიერი მემკვიდრე. განმცხადებლების განმარტებით, ვინაიდან ს. ნ-ანმა მიიღო სამართლებრივი სიკეთე - სადავო აქტით აღდგენილი ქონების 2/5, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იგი მოცემულ საქმეში მესამე პირად უნდა

ჩაბმულიყო და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მას სადავო ადმინისტრაციული აქტით მიღებული ქონების შემდგომი რეგისტრაცია უნდა აკრძალვოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლებების) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. -3/ ... ქ. -54-ში მდებარე, ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" პუნქტზე და განმარტა, რომ აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ მოპასუხის მიმართ იყო მიმართული და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუბრკოლებელი აღსრულების მიზანს ემსახურებოდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლოსათვის გაურკვეველი იყო, თუ რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდნენ განმცხადებლები და ვის უნდა აკრძალვოდა სადავო ქონების შემდგომი რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის გაზრდა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო, შესაბამისად, სარჩელის აღებრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული იმ გარემოებებზე, რომელთა გამო სარჩელის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ან დაბრკოლდებოდა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებაზე იმავე სასამართლოში საჩივარი წარადგინეს ე. კ-ოვმა და გ. ყ-ელმა. საჩივრის ავტორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საჩივრის ავტორების განმარტებით, ს. ნ-ანის მიერ სადავო ქონების სხვა პირზე გასხვისების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ს. ნ-ანისათვის სადავო ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა აუცილებლობას წარმოადგენდა. საჩივრის ავტორებმა ასევე აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არაფერი იყო ნათქვამი ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე, მაშინ, როდესაც მათ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნაც იყო დაყენებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანს იმ საფრთხის თავიდან აცილება წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგად საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გამძლეობის თვალსაზრისით შეიძლება შექმნილიყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის საჩივარი იყო დაუსაბუთებელი და არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინების გაუქმების საფუძველი, რის გამოც საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს - საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლებების) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. -3/ ... ქ. -54-ში მდებარე, ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის ნა-

წილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორებმა ქ. თბილისში, ... ქ. -3/ ... ქ. -54-ში მდებარე, ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჩივრის ავტორების მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე თავისი შინაარსით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მიეკუთვნება, ვინაიდან აღნიშნული განჩინების, როგორც უფლებრივი დაცვის დროებითი საშუალების მიზანი დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღმდგრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმის დავის საგანს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის -7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობა წარმოადგენს, ხოლო 2010 წლის 28 მაისს საჯარო რეესტრში სადავო ქონების ს. ნ-ანის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ფაქტი, საჩივრის ავტორებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცილებითი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 29-ე მუხლით, რომელიც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას უკავშირდება.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორთა მოთხოვნა მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელიც მოცემულ საქმეში არც მხარეს და ამ ეტაპზე არც სავალდებულო მესამე პირს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორებმა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში, ისე საჩივარში სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნა-

წილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-ანის მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის საჩივარი ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში თავისი შინაარსით კერძო საჩივარს წარმოადგენს, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2³ ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით კი მხარეს არ განემარტა მესამე პირის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმის თაობაზე, რაც ამ ნაწილში განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორთა მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" პუნქტით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ამ ნაწილში განცხადება ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლეების) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. -3/ ... ქ. -54-ში მდებარე, ს. ნ-ანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

2. ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლეების) საჩივარი (კერძო საჩივარი) ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის და 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებები ს. ნ-ანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის და 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებები;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის გამოხმობა

განჩინება

-ბს-928-890(კ-07)

22 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს. თ-ძის წარმომადგენლების: რ. ბ-ძისა და თ. ჯ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ს. თ-ძემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურისათვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავა-
ლება.

2008 წლის 15 აპრილს ს. თ-მის წარმომადგენლებმა - რ. ბ-მემ და თ. ჭ-მემ განცხადებით მიმართეს საკასაციო სასამართლოს, რომლითაც სარჩელის გამოხმობა და ს. თ-მის სარჩელის გა-
ნუხილველად დატოვება მოითხოვეს შემდეგი საფუძვლით:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლების აღიარების კომისიამ "ფიზიკური და
კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების
უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის -525 ბრძა-
ნებულებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობა-
ში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მოწმო-
ბის ფორმის დამტკიცების შესაბამისად 2008 წლის 3 იანვარს მოსარჩელეზე გასცა საკუთრების
მოწმობა, რომელიც გატარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში.
ამდენად, სსსკ-ის 83¹ მუხლის საფუძველზე მოსარჩელის წარმომადგენლებმა მოითხოვეს სარჩელის
გამოხმობა. ამასთან, წარმოადგინეს მოწინააღმდეგე მხარის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-
ტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის თანხმობა სარჩელის გამოხმობასთან დაკავშირებით
და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი სადავო მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის შესა-
ხებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი შუამდგომლობის გაცნობის შედე-
გად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს. თ-მის წარმომადგენლების - რ. ბ-მისა და თ. ჭ-მის შუამ-
დგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, გაუქმდეს მოცე-
მულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის
13 ივნისის განჩინება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის გადაწ-
ყვეტილება და ს. თ-მის სარჩელი დარჩეს განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეო-
ბებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინ-
ციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულე-
ბისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ
არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხ-
მოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქ-
მის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა საკასაციო წესით საქმის განხილვისას და-
საშვებია მოპასუხის თანხმობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ან საკასაციო
წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქ-
მებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა მოსარჩელის - ს. თ-მის წარმომადგენლების - რ. ბ-მისა
და თ. ჭ-მის უფლებამოსილება, მიაჩნია, რომ მათი რწმუნებულება გაცემულია სსსკ-ის 98.1
მუხლის მოთხოვნათა დაცვით - მარწმუნებელმა მიაწა სრული უფლებამოსილება, მათ შორის
მთლიანად ან ნაწილობრივ სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, რწმუნებულები - უფლება-
მოსილი არიან მარწმუნებლის სახელით გამოიხმონ ს. თ-მის სარჩელი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 83¹.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის გა-
მოხმობის აუცილებელ პირობას ასევე წარმოადგენს მოპასუხის თანხმობა, რომლის არარსებობის
პირობებში სასამართლო შეზღუდულია ამგვარი ნების გამოვლენის მიღების შესაძლებლობით, რაც
მოცემულ შემთხვევაში მოხდა, რამდენადაც მოსარჩელის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ
იქნა მოპასუხის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის
უფროსი გ. აბულაძის თანხმობა ს. თ-მის მიერ სარჩელის გამოხმობის შესახებ შუამდგომლობის
დაკმაყოფილებაზე. ამდენად, შუამდგომლობა წარმოდგენილია სსსკ-ის 83¹.1 მუხლის მოთხოვნათა
დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის გამოხმობის
ინსტიტუტის შეტანა განპირობებულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით: მხარე
სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უფლებამოსილია, უარი განაცხადოს სარჩელის განხილვაზე.
ამასთან, ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს, მოტივირებულად წარადგინოს სარ-

ჩელის გამოხმობის შემთხვევაში შუამდგომლობა. ამგვარი მას საპროცესო კანონმდებლობით არ ევალება, მით უფრო, რომ საპროცესო კანონმდებლობით ის არ კარგავს უფლებას, აღძრას იგივე სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275¹ მუხლის "ვ" პუნქტის თანახმად კი სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს, თუ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. თ-ძის წარმომადგენლების - რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება და ს. თ-ძის სარჩელი დარჩეს განუხილველად სარჩელის გამოხმობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 3.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹, 257-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. თ-ძის წარმომადგენლების - რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება;

3. ს. თ-ძის სარჩელი დარჩეს განუხილველად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის გამოხმობა

განჩინება

-ბს-278-271(კ-08)

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. მ-ძის წარმომადგენლის - გ. ნ-შვილის განცხადება სარჩელის უკან გამოხმობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. მ-ძემ 04.06.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს და მესამე პირის - ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის ... ქუჩის -30-ში და ... ქუჩის მიმდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში მყოფ ობიექტებზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების დავალება და საკუთრების მოწმობის გაცემა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.12.05წ. გადაწყვეტილებით ბ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ბ. მ-ძემ აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.07წ. განჩინებით ბ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.12.05წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაიზიარა მათი სამართლებრივი შეფასება. საწინააღმდეგო შინაარსის არსებითი ხა-

სიათის არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია. სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოოპერატივ "...-ს" მთელი უძრავ-მოძრავი ქონება წარმოადგენდა ბ. მ-ძის საკუთრებას. მას შემდეგ, რაც 05.08.96წ. კოოპერატივის წევრობაზე უარი განაცხადა დანარჩენმა ორმა წევრმა, კოოპერატივ "...-ს" შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა მოწესრიგდა და ჩამოყალიბდა ინდ.მეწარმე "ბ. მ-ძე", რომელიც 08.08.96წ. უკვე არსებობდა, მინიჭებული ჰქონდა საიდენტიფიკაციო კოდი. მას ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა ქონება და კოოპერატივ "...-ს" ქონების ფაქტობრივი მფლობელი გახდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა კოოპერატივ "...-სა" და დღეის მდგომარეობით - ინდ.მეწარმე "ბ. მ-ძეს" შორის სამართლებრივი კავშირი.

ბ. მ-ძემ 10.03.08წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კეტეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.07წ. განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 29.04.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი.

ბ. მ-ძის წარმომადგენელმა გ. ნ-შვილმა 20.05.08წ. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც ბ. მ-ძის სასარჩელო განცხადების გამოხმობა, საქმეზე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების (განჩინებების) გაუქმება და ბ. მ-ძისთვის მის მიერ შეტანილი საბუთების და საქმის მასალების უკან დაბრუნება მოითხოვა.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო და მესამე პირი ქ. თბილისის მერია დაეთანხმნენ ბ. მ-ძის წარმომადგენლის - გ. ნ-შვილის მოთხოვნას სარჩელის გამოხმობის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა ბ. მ-ძის წარმომადგენლის - გ. ნ-შვილის განცხადების განხილვის შედეგად თვლის, რომ განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე განუხილველად დარჩეს ბ. მ-ძის სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

"საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 28.12.07წ. საქართველოს კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რითაც სარჩელის გამოხმობა დასაშვები გახდა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, რაც მოსარჩელეს უფლებას აძლევს, სარჩელი გაიხმოს საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დაკმაყოფილებს სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის განცხადებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, ამასთანავე, მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სამართლოების გადაწყვეტილებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილება მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

ვინაიდან ბ. მ-ძემ განცხადებით მოითხოვა სარჩელის გამოხმობა და მის აღნიშნულ მოთხოვნას მოპასუხე ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო

24.06.08წ. და მესამე პირი - ქ. თბილისის მერია 20.06.08წ. წერილებით დაეთანხმნენ, საკასაციო პალატა თვლის, რომ ბ. მ-ძის მოთხოვნა სარჩელის გამოხმობის თაობაზე აკმაყოფილებს ზემოდნიშნული ნორმის მოთხოვნას; ბ. მ-ძის სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს და დაუბრუნდეს მოსარჩელეს. შესაბამისად, მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო ინსტანციაში საქმის განსახილველად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლით, 275-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტით და 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. მ-ძის წარმომადგენლის - გ. ნ-შვილის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.07წ. განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.12.05წ. გადაწყვეტილება;
3. ბ. მ-ძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ, არასაცხოვრებელ ფართზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაობაზე, დარჩეს განუხილველი;
4. ბ. მ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. უფლებამონაცვლეობა

კერძო საჩივარი უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერებაზე

განჩინება

-ბს-1082-1044(კს-07) 15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 11 დეკემბერს შ. ჩ-ანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების: ხელვაჩაურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოსა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ, ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეების დავალდებულებას, დროულად ეცათ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, ვინაიდან სასამართლოს განჩინება და აღსრულების აქტი კანონიერ ძალაში იყო შესული და მოპასუხეებს მისი შეცვლის უფლება არ ჰქონდათ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 8 თებერვლის განჩინებით საქმეში ჩაება ვ. ჩ-ანი.

2002 წლის 29 მარტს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხ. ქ-მემ სარჩელი აღძრა და იმ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომელთა საფუძველზეც ვახტანგ და შ. ჩ-ანებს მიწის ნაკვეთი მიუზომეს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 აპრილის განჩინებით შოთა და ვ. ჩ-ანების სარჩელი მოპასუხეების: ხელვაჩაურის რაიონის გამგეობისა და ხელვაჩაურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს, აგრეთვე, ხ. ქ-ძის სარჩელი მოპასუხეების: გონიოს თემის საკრებულოს, შოთა და ვ. ჩ-ანების მიმართ, აქტების ბათილად ცნობის თაობაზე გაერთიანდა ერთ სასარჩელო წარმოებად.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით გონიოს თემის საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 23 მაისის -3 და 2001 წლის 28 ივლისის -5 ოქმები თანმდევი შედეგებით ბათილად იქნა ცნობილი. გონიოს თემის საკრებულოს სარეფორმო კომისიას დაევალა სოფ. კვარიათის ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე საერთო წესით განეხილა და გადაეწყვიტა როგორც ხ. ქ-ძის, ისე ვ. და შ. ჩ-ანების საკარმიდამო მიწით დაკმაყოფილების საკითხი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შ. და ვ. ჩ-ანებმა.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ანის სარჩელის დაკმაყოფილებასა და ხ. ქ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებაზე ხ. ქ-ძემ შეგებულ სააპელაციო საჩივარი შეიტანა და მოითხოვა დავალებოდა გონიოს თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიას ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლითაც ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში, "მაღაზიის ზემოთ მდებარე ციტრუსების ნარგავებიანი სადავო მიწის ნაკვეთი" საკუთრებაში გადაეცემოდა ხ. ქ-ძეს.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით შოთა და ვ. ჩ-ანების სააპელაციო საჩივარი და ხ. ქ-ძის შეგებულ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ჩ-ანის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გონიოს თემის საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 23 მაისის ოქმი ვ. ჩ-ანისათვის 0,25 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ, აგრეთვე, 2001 წლის 22 ივლისის შედგენილი მიწის მიზომვის აქტი; გაუქმდა შ. ჩ-ანისათვის გონიოს თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიის 2001 წლის 28 ივლისის სხდომის -5 ოქმი და 2001 წლის 22 ივლისის მიწის მიზომვის აქტი. ხ. ქ-ძეს უარი ეთქვა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე. გონიოს თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიას დაევალა სარეფორმო მიწის ფონდიდან შ. ჩ-ანისა და ხ. ქ-ძისათვის მიწის შევსებისა და გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხ. ქ-ძემ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

საკასაციო სასამართლოს 2002 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ხ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით შოთა და ვ. ჩ-ანების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა შ. ჩ-ანზე გონიოს თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიის 2001 წლის 22 ივლისის საკარმიდამო მიწის შ. ჩ-ანისათვის მიზომვის აქტი, აგრეთვე, ვ. ჩ-ანზე გონიოს თემის საკრებულოს სარეფორმო კომისიის 2001 წლის 22 ივლისის საკარმიდამო მიწის მიზომვის აქტი და 23 ივლისის საკარმიდამო მიწის გამოყოფის აქტი. ხ. ქ-ძეს უარი ეთქვა მასზე საკარმიდამო მიწის სასამართლოს მიერ გამოყოფის მოთხოვნაზე. ხ. ქ-ძეს უარი ეთქვა გონიოს თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიის 2000 წლის 23 მაისის -3 და 2001 წლის 28 ივლისის -5 ოქმების გაუქმებაზე. გონიოს თემის საკრებულოს დაევალა ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ჩატარებინა თემის საკრებულოს სხდომა და 2000 წლის 23 მაისის -3 და 2001 წლის 28 ივლისის -5 ოქმებით მიღებული დადგენილებების შესაბამისად გადაწყვიტოს ვ. და შ. ჩ-ანებისათვის საკარმიდამო მიწის მიზომვის საკითხი. ხ. ქ-ძეს განემარტა, რომ საკარმიდამო მიწის მიღების საკითხზე უნდა მიმართოს გონიოს თემის საკრებულოს, რომელიც ვალდებულია, განიხილოს ხ. ქ-ძისათვის მიწის გამოყოფის საკითხი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და შ. ჩ-ანებმა.

კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ვ. და შ. ჩ-ანების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გადაწყვეტილების გამომტანი - აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს უფლებამონაცვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2007 წლის 14 ივნისს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რაც მიექცა აღსასრულებლად.

2008 წლის 15 მაისს შ. ჩ-ანმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა გონიოს თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამეგობის ცნობა, ვინაიდან ლიკვიდირებულ იქნა გონიოს თემის საკრებულო და მისი უფლებამონაცვლე გახდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით შ. ჩ-ანის განცხადება უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა - გონიოს თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65-ე მუხლითა და 65¹ მუხლის პირველი ნაწილით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. იმავე მუხლის მე-4 ნაწილით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის "ბ" პუნქტით თვითმმართველი ერთეული არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირია, ხოლო იმავე მუხლის "გ" პუნქტით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით, შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები. იმავე კანონის მე-19 მუხლით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა (მერია).

სააპელაციო პალატის მითითებით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონის 47-ე მუხლის "ა" და "გ" პუნქტებით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა მის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები, ამ მუხლში მითითებული გამონაკლისების გარდა. 22-ე მუხლის "ს" ქვეპუნქტით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწის, ტყის რესურსების მართვის წესის განსაზღვრა საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იმავე მუხლის პირველი ნაწილის "ტ" ქვეპუნქტით მიწათსარგებლობის დაგეგმვა საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილით, ამ მუხლით გათვალისწინებული საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს. მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით კი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება მის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის განმარტებით, გონიოს თემის საკრებულო ლიკვიდირებულია, მისი უფლებები და ვალდებულებები გადაეცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით უნდა ჩატარდეს რა თემის საკრებულოს სხდომა, განხილულ იქნეს 2000 წლის 23 მაისის 2001 წლის 28 ივლისის გონიოს თემის საკრებულოს მიწების სარეგორმო კომისიის საოქმო დადგენილებები და აღნიშნულ დადგენილებათა შესაბამისად გადაწყდეს ვ. და შ. ჩ-ანებისათვის მიწის მიზომვის საკითხი, სწორედ საკრებულოა უფლებამოსილი მითითებული საკითხის განხილვაზე და გონიოს

თემის საკრებულოს კანონისმიერ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად.

ამასთან, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 20.2 მუხლით სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. იმავე კანონის მეორე მუხლით, ამ კანონით დადგენილი წესით, აღსრულებას ექვემდებარება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება. მოცემულ შემთხვევაში კი უფლებამონაცვლის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცელი გაიცემა მოცემული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კრედიტორ შ. ჩ-ანის მოთხოვნის საფუძველზე.

მითითებული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. იმავე მუხლის "თ" ქვეპუნქტის მიხედვით, ექსკლუზიური უფლებამოსილება არის თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ხსენებული კანონის მე-10 მუხლით რეგლამენტირებულია თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილია თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ხსენებული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის, 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. იმავე კანონის 21-ე და 38-ე მუხლების თანახმად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა (მერია).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონის 47-ე მუხლის "ა" და "გ" პუნქტების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა მის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები ამ მუხლში მითითებული გამოწვევების გარდა. იმავე კანონის 22-ე მუხლის "ს" ქვეპუნქტით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის განსაზღვრა საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იმავე მუხლის პირველი ნაწილის "ტ" ქვეპუნქტით მიწათსარგებლობის დაგეგმვა საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლით გათვალისწინებული საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განმარტებით, თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ერთიან, ორგანულად მთლიან ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოს, რომელსაც გააჩნია ხსენებული კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, მათ შორის, ექსკლუზიური უფლებამოსილებანი, რომელსაც იგი ახორციელებს ავტონომიურად, კანონისა და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მიწის რესურსების მართვა და განკარგვა, რომელშიც იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით გადაცემა. ამასთან, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ამ უფლებამოსილებას მიიჩნევს მათ ერთობლივ უფლებამოსილებად.

ამასთან, საკასაციო პალატის მითითებით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო იყო სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მართებულად იქნა მიჩნეული გონივრულ თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სასამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლება

განჩინება

-ბს-1125-961-კ-04

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს განცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლის დადგენის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 17 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2001 წლის 28 დეკემბრის აქტი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს მოგების გადასახადში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 105543.3 ლარი დაერიცხა. სალიცენზიო მოსაკრებლის - 19750 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ნაწილში აქტი დარჩა უცვლელად.

2009 წლის 12 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განცხადებით მომართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელ-

მწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის წერილით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოს განემარტა, რომ საკასაციო სასამართლო იმ ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოზე გაეცა სააღსრულებო ფურცელი, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო კასატორის (მოსარჩელე) - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მიმართ, ხოლო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის საფუძველზეც სასამართლოს მიერ მოხდებოდა უფლებამონაცვლეობის დადგენა.

2009 წლის 23 იანვარს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომელშიც მიუთითა, რომ "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 30³ მუხლის საფუძველზე საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოდ. ამდენად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის მასზე გაცემა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ უნდა იქნეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სასამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 17 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2001 წლის 28 დეკემბრის აქტი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს მოგების გადასახადში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 105543.3 ლარი დაერიცხა. სალიცენზიო მოსაკრებლის - 19750 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ნაწილში აქტი დარჩა უცვლელად.

სააღსრულებო ფურცელი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე არ არის გაცემული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონზე, რომლის 30³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 2007 წლის 1 სექტემბრამდე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოდ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო ზემოხსენებული ნორმატიული აქტით შეიცვალა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოთი, რის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოცემულ საქმეზე საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ უნდა იქნეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის -170 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო ორგანოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს -550 ბრძანებისა და “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 25 თებერვლის -176 ბრძანების თანახმად, თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილებაზე უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი და მასში კრედიტორად საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნაცვლად მიეთითოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო, ხოლო მოვალეებად - თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით, “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო;

2. გაიცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის -ბს-1125-961-კ-04 გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი და მასში კრედიტორად საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ნაცვლად მიეთითოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო, ხოლო მოვალე-

ზად - თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლის დადგენა

განჩინება

ბს-415-400(კს-09) 13 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ფ-იამ 2007 წლის აგვისტოში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ფ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს "პატიმართა შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 28 დეკემბრის -365 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე დაევალა სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე გ. ფ-იასათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საბეჭდი საშუალების გადაცემასთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ფ-იას სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ფ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დადგენა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონს, რომ-

ლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლის საკითხის გადასაწყვეტად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მსჯავრდებულმა გ. ფ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. მან მოითხოვა სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე კომპიუტერისა და პრინტერის შეტანა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2008 წლის 30 დეკემბრის -961-III კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, რეორგანიზებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და ჩამოყალიბდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - სასჯელაღსრულების დეპარტამენტად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2009 წლის 25 თებერვლის -60 ბრძანებით დამტკიცებულ "საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის" დებულების მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად დეპარტამენტი წარმოადგენს სასჯელაღსრულების ორგანოს, რომელიც შედის სამინისტროს სისტემაში, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. ზემოაღნიშნული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად კი დეპარტამენტის ძირითად ამოცანას განეკუთვნება მსჯავრდელთათვის დადგენილი საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სანიტარულჰიგიენური, სამედიცინო და სხვა პირობების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიჩნევის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული საკითხთა სამინისტროს კერძო საჩივარი;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამონაცვლის დადგენის საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერებაზე

განჩინება

-ბს-942-906(კს-08)

21 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ა. ბ-ძის მეუღლის - მ. ჩ-ძის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-ძემ 01.03.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ და მოითხოვა 1976-2004 წლებში პროკურატურის ორგანოებში მუშაობის პერიოდის შრომის სტაჟში ჩათვლა და მოპასუხისათვის პროკურატურის ხაზით პენსიის დანიშვნა 2004 წელს მოქმედი კანონის შესაბამისად სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.01.07წ. გადაწყვეტილებით ა. ბ-ძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელე ა. ბ-ძეს უარი ეთქვა მოპასუხის მიმართ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სტაჟირების შემდგომი პერიოდის 2 თვისა და 17 დღის შრომით სტაჟში ჩათვლის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებაზე; მოსარჩელე ა. ბ-ძეს უარი ეთქვა მოპასუხის მიმართ 1986 წლის 7 იანვრიდან 1988 წლის 6 დეკემბრამდე უკანონოდ დათხოვნის პერიოდის შრომის სტაჟში ჩათვლის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ძემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოითხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

08.01.08წ. ა. ბ-ძე გარდაიცვალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალება, თუ სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია დროის პერიოდის შრომით სტაჟში ჩათვლა. ნამსახურობის წლების შრომის სტაჟში ჩათვლის უფლება პირადი ხასიათისაა, ეკუთვნის მხოლოდ მოსარჩელეს, მეგვიდრეობით არ გადადის და პიროვნების გარდაცვალების შემდეგ წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი პირის გარდაცვალების შემთხვევაში მხოლოდ ამ კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილ პირად უფლებათა დაცვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. მოცემული სარჩელის საგანი - დროის პერიოდის შრომით სტაჟში ჩათვლის უფლება - არ შედის ამ ჩამონათვალში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, მოსარჩელის მიერ პროკურატურის ორგანოებში მუშაობის სტაჟს, სხვა სათანადო პირობების არსებობისას შესაძლებელია შეხება ჰქონდეს თავისი ოჯახის წევრთა საპენსიო უფლებებთან, მაგრამ ეს სხვა სუბიექტთა დამოუკიდებელი უფლებებია, რომელიც ასევე დამოუკიდებელი დავის საგანი შეიძლება იყოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ბ-ძის მეუღლემ - მ. ჩ-ძემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა შეეჩერებინა საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან სადავო-სამართალურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. მ. ჩ-ძე არ დაეთანხმა სააპელა-

ციო სასამართლოს მოტივაციას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 272-ე და 279-ე მუხლების მოთხოვნებს, რადგან უფლებამონაცვლეობა მოცემულ შემთხვევაში დასაშვებია და ესეც რომ არ იყოს, გარდაცვლილის მეუღლეს არ უნდა აღეკვეთოს უფლება, წარადგინოს თავისი მოსაზრება სასამართლოში იმ საქმეზე, რომელიც აწ გარდაცვლილმა სიცოცხლეში დაიწყო ხოლო მოულოდნელი გარდაცვალების გამო გავიდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მართებული იქნებოდა საქმის წარმოების შეჩერება, თუნდაც სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადით მაინც და ამის შემდეგ სასამართლო სხდომაზე უფლებამონაცვლეობის საკითხის მემკვიდრის მონაწილეობით განხილვა იმის დასადგენად - არის თუ არა შესაძლებელი უფლებამონაცვლეობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მ. ჩ-ძის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვ.) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესებში უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა გულისხმობს მხარეებისა და მესამე პირების შეცვლას იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველს ქმნის უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც, მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა და ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა დროის გარკვეული პერიოდის ჩათვლა შრომით სტაჟში და პენსიის დანიშვნა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპენსიო თანხასთან დაკავშირებული სამართალურითიერთობებში დასაშვებია უფლებამონაცვლეობა, რაც დასტურდება თუნდაც "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის 32.1 მუხლით, რომლის თანახმად, კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტაჟენდია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისათვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველს განსაზღვრავს მატერიალური კანონი, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შრომის სტაჟში გარკვეული პერიოდის ჩათვლას მოსარჩელე მოითხოვდა სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან - 2004 წლის 2 ნოემბრიდან პენსიის დანიშვნის მიზნით. კერძო საჩივრის ავტორი მ. ჩ-ძე ითხოვდა საპროცესო უფლებამონაცვლეობის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერებას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მხარის მიერ მოთხოვნილი პენსიით სარგებლობის უფლება აქვთ მისი ოჯახის წევრებს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ა. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნის - შრომის სტაჟის დაანგარიშების - მიზანი იყო პენსიის დანიშვნა მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან, ამასთან, გარდაცვალება კომპენსაციის შემდგომი გაცემის შეწყვეტის საფუძველია, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ დავაზე უფლებამონაცვლეობა დასაშვებია იმ ნაწილში, რომელიც ეხება ა. ბ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან - 2004 წლის 2 ნოემბრიდან მისი გარდაცვალების დღემდე - 2008 წლის 8 იანვრამდე პენსიის დანიშვნის და საპენსიო თანხის გაცემის დავალების მოთხოვნის და, მაშას-

დამე, შრომის სტაჟში სადავო პერიოდის ჩათვლის ნაწილში. სსკ-ის 92-ე მუხლში ამომწურავი ჩამონათვალი არ არის განსაზღვრული საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები. ხსენებული მუხლი აწესებს საპროცესო უფლებამონაცვლეობის ზოგად პარინციპს - სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობებიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, ასეთი ვითარება შეიქმნა ა. ბ-ძის გარდაცვალების შედეგად, რის გამოც მისი უფლებები გადაეცა მის მემკვიდრეს. ამდენად, არსებობდა სსკ-ის 279-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

საქმის მასალების მიხედვით საქმის წარმოება შეწყდა 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტა არ გულისხმობს დავის არსებით გადაწყვეტას, საქმის წარმოება წყდება საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი საქმეზე წარმოების შეწყვეტასთან ერთად შეიცავს მითითებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ა. ბ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან - 2004 წლის 2 ნოემბრიდან მისი გარდაცვალების დღემდე - 2008 წლის 8 იანვრამდე საპენსიო თანხის მოთხოვნის ნაწილში პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით საქმეში უნდა ჩააბას აწგარდაცვლილის ა. ბ-ძის მემკვიდრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ამ საქმის არსებითად განხილვამდე საპროცესო უფლებამონაცვლის ჩასაბმელად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 274-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჩ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. განჩინება შრომის სტაჟში დროის პერიოდის ჩათვლისა და სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან (02.11.04წ) ა. ბ-ძის გარდაცვალების დღემდე (08.01.08წ.) პენსიის დანიშვნისა და კომპენსაციის თანხის მოთხოვნის თაობაზე საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში და საპროცესო უფლებამონაცვლის ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლის დანიშვნა

განჩინება

- ბს-251-241(კ-09) 20 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ლ. ქ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობა და ნ. ქ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ განცხადების საფუძვლიანობა.

2007 წლის 18 ივნისს ნ. ქ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე აჭარის ა/რ კონტროლის პალატის მიმართ და მოპასუხის მიერ 2007 წლის 18 მაისს შედგენილი სსიპ "სოფელ ...-ის საჯარო სკოლის" -59/01-11 თემატური შემოწმების აქტის, როგორც უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად

ცნობა მოითხოვა, რადგან ხსენებულ აქტში მითითებული გარემოებები, მოსარჩელის აზრით, არასწორად იყო შეფასებული და განმარტებული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. ქ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2007 წლის 18 მაისის -59/01-11 თემატური შემოწმების აქტი საშუალო სკოლის ადმინისტრაციისა და ტექპერსონალისათვის საშტატო განრიგის საფუძველზე 2006 წლის თებერვლიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ხელფასების გაცემის უკანონოდ შეფასების ნაწილში და სკოლის მასწავლებლებისათვის 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ხელფასების გაცემის უკანონოდ შეფასების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2007 წლის 18 მაისის -59/01-11 თემატური შემოწმების აქტი დარჩა ძალაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ კონტროლის პალატამ. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ქ-ძემაც, რომელმაც ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - ნ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2007 წლის 18 მაისის "თემატური შემოწმების აქტი" სკოლის მასწავლებლებისათვის 2001 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ხელფასის უკანონოდ შეფასების ნაწილში; დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

2009 წლის 22 იანვარს ლ. ქ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელშიც აღნიშნა, რომ ნ. ქ-ძეს 2008 წლის 25 დეკემბრამდე უნდა შეეტანა საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ 2008 წლის 11 დეკემბერს გარდაიცვალა. განცხადების ავტორმა მიუთითა, რომ იგი იყო აწ გარდაცვლილი ნ. ქ-ძის შვილი, რის გამოც ითხოვა ნ. ქ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობა და საკასაციო საჩივრის შეტანისთვის დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენა.

2009 წლის 16 თებერვალს ლ. ქ-ძემ საკასაციო საჩივარი წარადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. კასატორმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო გაეცნო ლ. ქ-ძის განცხადებასა და საკასაციო საჩივარს და მიაჩნია, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესებში უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა არის მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. ამდენად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველია მოქალაქის გარდაცვალება, თუ სადავო სამართალურთიერთობა დასაშვებად მიიჩნევა უფლებამონაცვლეობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნულ ნორმის შინაარსს და აღნიშნავს, რომ მოქალაქის გარდაცვალება მხოლოდ მაშინ იწვევს საპროცესო უფლებამონაცვლებას, როდესაც სადავო სამართალურთიერთობაში დასაშვებია უფლებამონაცვლეობა. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, გამოიკვლიოს და დაადგინოს, მატერიალური სამართლის კუთხით რამდენადაა დასაშვები გარდაცვლილის უფლებამონაცვლით ჩანაცვლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ "სოფელ ...-ის საჯარო სკოლის" დირექტორი ნ. ქ-მე სადავოდ ხდიდა აჭარის ა/რ კონტროლის პალატის მიერ 2007 წლის 18 მაისს შედგენილი სსიპ "სოფელ ...-ის საჯარო სკოლის" -59/01-11 თემატური შემოწმების აქტის კანონიერებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დავის საგნიდან გამომდინარე, ხსენებული მოთხოვნის უფლება ვერ გადავა ნ. ქ-ძის შვილზე - ლ. ქ-ძეზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ლ. ქ-ძის მიერ ზემოაღნიშნული სადავო აქტის ბათილად ცნობის კანონიერი ინტერესიც, რის გამოც ლ. ქ-ძე მოცემულ საქმეში ვერ ჩაებმება ნ. ქ-ძის უფლებამონაცვლედ და ვერ ჩაითვლება საკასაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირად.

საკასაციო სასამართლო დამატებით ლ. ქ-ძის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის შეტანის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენაზე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე და ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ქ-ძის განცხადება ნ. ქ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. განუხილველი დარჩეს ლ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის მოტივით;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლის დადგენა ახალი სარჩელის შეტანის გზით

განჩინება

-ბს-458-437(კს-08)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 10 სექტემბერს გ. ა-აკმა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე გორის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მასა და მოპასუხეს შორის 1996 წლის 28 დეკემბერს დაიდო სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მის ფერმერულ მეურნეობას უნდა გადასცემოდა 206 ჰა ფართობის სახნავი მიწა, ფაქტობრივად კი გადაეცა 184 ჰა ურწყავი, დაბალნაყოფიერი სახნავი, ხოლო დანარჩენი 22 ჰა სარწყავი და მაღალნაყოფიერი მიწა მოსარჩელეს არ გადასცეს. აღნიშნული მიწა მიტაცებული ჰქონდა მოსახლეობას, რომელიც მიწის გადასახადს არ იხდიდა. ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნით მოსარჩელემ რამდენჯერმე მიმართა გორის რაიონის გამგეობას, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელის მტკიცებით, მისთვის კუთვნილი 22 ჰა სარწყავი მიწის გადაუცემლობით მას მიადგა ზიანი 42000 ლარის ოდენობით, რის გამოც იმყოფებოდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 22 ჰა მიწის გადაცემა და ზიანის - 42000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ა-აკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა - მოპასუხე გორის რაიონის გამგეობას საიჯარო ხელშეკრულების პირობების შესრულება და ფერმერ გ. ა-აკისათვის 22 ჰა პირველი კატეგორიის სახნავ-სათესი მიწის გადაცემა დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-აკმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონის გამგეობამაც, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 25 მარტის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად გორის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო და ამავე რაიონის მიწის მართვის სამმართველო ჩაებნენ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გ. ა-აკმა გაზარდა სასარჩელო მოთხოვნათა ოდენობა და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 140000 ლარის ოდენობით, აგრეთვე, დამატებით მოითხოვა ზედმეტად გადახდილი მიწის გადასახადის დაბრუნება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 ივლისის განჩინებით გ. ა-აკისა და გორის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის სხდომაზე გ. ა-აკმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საექსპერტო დასკვნიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, გ. ა-აკის მოსალოდნელი ზარალი შეადგენდა 152400 ლარს, კვლავ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა თანხის ნაწილში და აღნიშნული თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-აკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-აკმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 4 თებერვლის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად გორის რაიონის ბერბუკის თემის საკრებულო, კ. ქ-შვილი, გ. ს-შვილი, ტ. გ-შვილი, ფ. ს-შვილი და ა. ს-შვილი ჩაებნენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 21 თებერვლის სხდომაზე გ. ა-აკმა კვლავ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 304000 ლარის ოდენობით, აგრეთვე, დააზუსტა მოთხოვნა გადასაცემი მიწის ფართის ნაწილში და 24,95 ჰა მიწიდან მხოლოდ იმ ნაკვეთების გადაცემა მოითხოვა, რომლებიც მოსახლეობას არ ჰქონდა დამაგრებული მიწის მიღება-ჩაბარების აქტებით. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 თებერვლის საოქმო განჩინებით გივი აბალაკის შუამდგომლობა სარჩელის დაზუსტების თაობაზე დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით გ. ა-აკის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ა-აკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გორის რაიონის გამგეობას დაევალა გ. ა-აკისათვის 1996 წლის 28 დეკემბრის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ამავე ხელშეკრულებაზე დართული გეგმით განსაზღვრულ ადგილმდებარეობაზე 24,95 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემა 1996 წელს -116, -132, -87, -67 და -129 მიწის მიღება-ჩაბარების აქტებით მოსახლეობისათვის გადაცემული ნაკვეთების გარდა; გ. ა-აკის სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-აკმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის განჩინებით გ. ა-აკის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 19 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაზე.

2008 წლის 23 აპრილს გ. ა-აკმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე განმარტება მოითხოვა, თუ ვინ წარმოადგენდა გორის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს. განმცხადებელმა მიუთითა, რომ გორის რაიონის გამგეობა თავს არიდებდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, რომლითაც ლიკვიდირებულ იქნა გორის რაიონის გამგეობა. აღნიშნული კანონის 65-ე მუხლის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა რაიონში შემავალი ყოფილი თვითმმართველობის სამართალმემკვიდრეს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მფლობელობასა და განკარგულებაში აღარ შედიოდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები, ვინაიდან მათი პრივატიზება "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მეშვეობით ხორციელდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით გ. ა-აკის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ იყო ბუნდოვანი, მასში ნათლად იყო მითითებული ვალდებული პირი და მის მიერ განსახორციელებელი მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოვალის მისი უფლებამონაცვლით შეცვლა არ ხდებოდა გადაწყვეტილების განმარტების მეშვეობით. ამგვარი შემთხვევები მოწესრიგებული იყო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლით.

2008 წლის 14 ივლისს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოცემულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების შეჩერება მოითხოვა გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული აღსრულების შეჩერების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

2008 წლის 22 ოქტომბერს გ. ა-აკმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც საქმეზე მოვალის - გორის რაიონის გამგეობის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი შეცვლა მოითხოვა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს განცხადება დაკმაყოფილდა - შეჩერდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბერს გაცემული -3ბ/104-06 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე წარმოებული აღსრულება მოვალის უფლებამონაცვლის დადგენამდე; გ. ა-აკის განცხადება უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრეს. ამავე კანონის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებული იყო "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის

შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კონკრეტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელი იყო საქმეზე მოვალე - გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე ორგანოს განსაზღვრა გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოვალის სამართალმემკვიდრეს, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, წარმოადგენდა მუნიციპალიტეტი, რომლის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა გადაწყვეტილებით დაკისრებული ქმედების განხორციელება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ახლებურად მოწესრიგების გამო წარმოშობილი ურთიერთობები არ მიეკუთვნებოდა გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხთა კატეგორიას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ საქმეზე, მოვალის უფლებამონაცვლეობა არ იყო ნათელი და იგი უნდა დადგენილიყო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის შეტანის გზით.

რაც შეეხება ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების შეჩერების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ნათელი იყო, რომ არსებობდა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერების საფუძველები, რის გამოც განცხადება საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებაზე გ. ა-აკმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნები ან უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებული იყო გორის რაიონის გამგეობა და წარმოიშვა მისი უფლებამონაცვლეობის საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, რადგან "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტით თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტი, რომლის საკუთრებაშიც, ამავე კანონის 47-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, არის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო 67-ე მუხლის 1³ ქვეპუნქტის თანახმად, 47-ე მუხლით განსაზღვრული ქონება საჯარო რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრირდა განკარგვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის 1⁵ ქვეპუნქტის ძალით კი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია, თვითმმართველ ერთეულს მისცეს ამ მუხლის 1⁴ პუნქტით განსაზღვრული ქონების სამინისტროს თანხმობის გარეშე განკარგვის უფლება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გამო, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების საკითხებს, ხოლო პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ზემოთ აღნიშნული კანონებისა და "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ნათელი იყო, რომ მოვალის - გორის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, პრივატიზაციის საკითხთან მიმართებაში კი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, რადგან აღნიშნული ნორმა

ეხებოდა სააღსრულებო ფურცლის გაცემას გადაწყვეტილების გამოტანიდან სასამართლოში, თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდებოდა სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით გ. ა-აკის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გ. ა-აკის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით გ. ა-აკის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ა-აკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გორის რაიონის გამგეობას დაევალა გ. ა-აკისათვის 1996 წლის 28 დეკემბრის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ამავე ხელშეკრულებაზე დართული გეგმით განსაზღვრულ ადგილმდებარეობაზე 24,95 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემა 1996 წელს -116, -132, -87, -67 და -129 მიწის მიღება-ჩაბარების აქტებით მოსახლეობისათვის გადაცემული ნაკვეთების გარდა; გ. ა-აკის სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. კანონიერ ძალაში შესულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 19 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალედ - გორის რაიონის გამგეობა იყო მითითებული. 2008 წლის 22 ოქტომბერს გ. ა-აკმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც საქმეზე მოვალის - გორის რაიონის გამგეობის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი შეცვლა მოითხოვა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოცემულ შემთხვევაში იურიდიული პირის რეორგანიზაცია) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე, მათ შორის, პროცესის დასრულების შემდეგაც, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესებში უფლებამონაცვლეობის საფუძველია სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობა არის მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სასამართალმემკვიდრეს. ამავე კანონის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის მიხედვით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შე-

საბამის თვითმმართველ ერთეულს. თუმცა აქვე მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კონკრეტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით, პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში არ არის ნათელი გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლეობა სააღსრულებო ფურცლით დაკისრებულ ვალდებულებასთან მიმართებაში, კერძოდ, თუ ვისზე გადავიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2006 წლის 19 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია საქმეზე მოვალე - გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე ორგანოს განსაზღვრა გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, გორის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლეობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების ფარგლებში ნათლად არ დგინდება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის ახლებურად მოწესრიგების გამო წარმოშობილი ურთიერთობები არ მიეკუთვნება გადაწყვეტილების მოწესრიგების გამო წარმოშობილ საკითხთა კატეგორიას, რის გამოც მოცემულ საქმეზე მოვალის უფლებამონაცვლეობა უნდა დადგინდეს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის შეტანის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ა-აკის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-აკის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უფლებამონაცვლედ ცნობის კანონებზე

განჩინება

-ბს-292-282(კს-09)

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 2 აპრილს ნ. უ-ავამ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნ. ხ-ძის მიმართ და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრის დადგენა.

საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 30 მაისის -12.22.391 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ნაწილობრივ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. უ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 30 მაისის -12.22.391 გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის -15.22.467 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში - ნ. უ-ავას კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული, ნ. ხ-ძესთან სადავო 89 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქალაქის მიწათა ფონდში ჩარიცხვისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების ელნაგებობათა სამმართველოსათვის ელექტრო-სატრანსფორმატორო ჯიხურის ჩასადგმელად გადაცემის თაობაზე და ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ. -169, 171 და 173-ში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის არსებული დავის შესახებ, ასევე, დადგინდა ნ. ხ-ძესა და ნ. უ-ავას შორის სამეზობლო ღობის განსაზღვრა შემდეგნაირად: ... ქუჩის -95-ში მდებარე ნ. უ-ავას საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ჩრდილოეთისაკენ საცხოვრებელი სახლის პერპენდიკულარულად გადაზომვა 7,70 მეტრი, შემდეგ შეტეხვა აღმოსავლეთისაკენ და გადაზომვა 6,2 მეტრის ბოლო წერტილიდან საცხოვრებელი სახლის პარალელურად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაზომვა 12 გრძივი მეტრი და აღნიშნულის შეერთება საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ღია აივანთან, რის შედეგადაც ნ. უ-ავას მიწის ნაკვეთს შეემატება 89 კვ.მ

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და ნ. უ-ავას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-ავამ.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2000 წლის 5 სექტემბრის განჩინებით ნ. უ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 მარტის განჩინებით ნ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება, ნ. უ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 30 მაისის -12.22.391 გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის -15.22.467 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ. -169, 171 და 173-ში მცხოვრებ მოქა-

ლაქებს შორის არსებული დავის შესახებ, ასევე, დადგინდა ნ. ხ-მესა და ნ. უ-ავას შორის სამეზობლო ღობის განსაზღვრა შემდეგნაირად: ... ქუჩის -95-ში მდებარე ნ. უ-ავას საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ჩრდილოეთისაკენ საცხოვრებელი სახლის პერპენდიკულარულად გადაზომვა 7,70 მეტრი, შემდეგ შეტეხვა აღმოსავლეთისაკენ და გადაზომვა 6,2 მეტრის ბოლო წერტილიდან საცხოვრებელი სახლის პარალელურად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაზომვა 12 გრძივი მეტრი და აღნიშნულის შეერთება საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთ მხარეს არსებულ ღია აივანთან, რის შედეგადაც ნ. უ-ავას მიწის ნაკვეთს შეემატება 89 კვ.მ

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-მემ.

საკასაციო სასამართლოს 2001 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით კასატორის - ნ. ხ-მის გარდაცვალების გამო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოება შეჩერდა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ნ. ხ-მის უფლებამონაცვლედ დადგინდნენ ე., თ., პ. და ი. ხ-ძეები.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 24 ივლისის განჩინებით ე., თ., პ. და ი. ხ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 მარტის განჩინება.

2008 წლის 27 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს მ. და ლ. უ-ავებმა და მოითხოვეს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გაცემა და კრედიტორად აწ გარდაცვლილი ნ. უ-ავას უფლებამონაცვლედ მ. და ლ. უ-ავების მითითება შემდეგი საფუძვლით:

განმცხადებელთა მითითებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე 2008 წლის 16 სექტემბერს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, 2008 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა ნ. უ-ავა. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, როგორც კრედიტორის უფლებამონაცვლეები, სააღსრულებო ფურცელში უნდა მიეთითოს მ. და ლ. უ-ავები, რადგან ესაა უფლებამონაცვლეობა, რადგან სასამართლო პროცესის დასრულებამდე ნ. უ-ავას საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გადაეცა განმცხადებლებს და მათ საკუთრებად აღირიცხა საჯარო რეესტრში, რაც დასტურდება ქუთაისის მერიის "უქიმერიონის" ტერიტორიული ორგანოს მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მ. და ლ. უ-ავების განცხადება დაკმაყოფილდა და კრედიტორ ნ. უ-ავას უფლებამონაცვლეებად ცნობილ იქნენ მ. და ლ. უ-ავები, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 მარტის განჩინებით ნ. უ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 30 მაისის -12.22.391 გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის -15.22.467 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ. -169, 171 და 173-ში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის არსებული დავის შესახებ, ასევე, დადგინდა ნ. ხ-მესა და ნ. უ-ავას შორის სამეზობლო ღობის განსაზღვრა შემდეგნაირად: ... ქუჩის -95-ში მდებარე ნ. უ-ავას საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ჩრდილოეთისაკენ საცხოვრებელი სახლის პერპენდიკულარულად გადაზომვა 7,70 მეტრი, შემდეგ შეტეხვა აღმოსავლეთისაკენ და გადაზომვა 6,2 მეტრის ბოლო წერტილიდან საცხოვრებელი სახლის პარალელურად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაზომვა 12 გრძივი მეტრი და აღნიშნულის შეერთება საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ღია აივანთან, რის შედეგადაც ნ. უ-ავას მიწის ნაკვეთს შეემატება 89 კვ.მ 2006 წლის 24 იანვრის ნოტარიულად დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ნ. უ-ავას სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ლ. და მ. უ-ავების სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 92.1 მუხლით, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 24-ე მუხლით, რომლის თანახმად სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დამოწმა ნოტარიუსმა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ნ. უ-ავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით გადაეცა მ. და ლ. უ-ავებს და საკუთრების უფლებით აღირიცხა საჯარო რეესტრში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საჯარო რეესტრის ამონაწერით და კანონიერი მემკვიდრეობის მოწმობით დადგინდა, რომ მიიჩნია უფლებამონაცვლეობა, რის გამოც განმცხადებელთა მოთხოვნა მიიჩნია საფუძვლიანად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ე., ტ., პ. და ი. ხ-ძეებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, რადგან ნ. უ-ავა არასოდეს ფლობდა იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც სრულიად უკანონოდ 1986 წლის საქალაქო აღმასკომის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გადაეცა. 1987 წლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ნ. უ-ავას ჩამოერთვა მიწის ნაკვეთი და ჩაირიცხა ქალაქის მიწის ფონდში და გამოეყო საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას ელ. ნაგებობათა სამმართველოს ელექტრო სატრანსფორმატორო ჯიხურის დასადგმელად. სადავო მიწის ნაკვეთი ყოველთვის ხ-ძეების სარგებლობაში იყო და იგი არც ელ. ნაგებობათა სამმართველოს გადასცემია, არც უ-ავები სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით და გადასახადებსაც ხ-ძეები იხდიდნენ. დღეის მდგომარეობით 89 კვ.მ მიწის ნაკვეთი ხ-ძეების სარგებლობაშია. მას 1902 წლიდან ფლობდნენ ხ-ძეების წინაპრები, ამჟამად იგი შედის 600 კვ.მ მიწის ნაკვეთში, რომელიც მათ სახელზე საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრშია დარეგისტრირებული.

ე., ტ., პ. და ი. ხ-ძეების კერძო საჩივარი არ ცნეს მოწინააღმდეგე მხარეებმა - მ. და ლ. უ-ავებმა და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე., თ., პ. და ი. ხ-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორები სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების მოტივად უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეამოწმა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რადგან სადავო 89 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს არა უ-ავების, არამედ ხ-ძეების საკუთრებას და იგი შედის იმ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში, რომელიც საჯარო რეესტრში აღრიცხულია ხ-ძეების საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა მითითებულ პრეტენზიას უსაფუძვლობის გამო, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მ. და ლ. უ-ავების განცხადების საფუძველზე იხილავდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისა და უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით, ნ. უ-ავას უფლებამონაცვლედ მ. და ლ. უ-ავების ცნობის საკითხს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 26 მარტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებებით, დაკმაყოფილდა ნ. უ-ავას სარჩელი, ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ. - 169, -171 და -173 სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის არსებული დავის შესახებ და დადგინდა სამეზობლო ღობის მოწყობა იმგვარად, რომ ნ. უ-ავას მიწის ნაკვეთს უნდა შემატებოდა 89 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ამდენად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება სსსკ-ის 264-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაშია შესული. მისი აღსრულების მიზნით, ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 16 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად მიეთითა ნ. უ-ავა. საქმის მასალებით დგინდება, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ, გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 2008 წლის 3 ნოემბერს ნ. უ-ავა გარდაიცვალა. ნ. უ-ავამ გარდაცვალებამდე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, კუთვნილი ქონება გადასცა შვილებს - მ. და ლ. უ-ავებს, რის საფუძველზეც ქონება აღირიცხა საჯარო რეესტრში მ. და ლ. უ-ავების საკუთრებად.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განსჯის საგანს წარმოადგენდა არა სადავო მიწის ნაკვეთის ნ. უ-ავასათვის ან მისი უფლებამონაცვლეებისათვის მიკუთვნების კანონიერება, რაც გადაწყვედა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და სადავო 89 კვ.მ მიწის ნაკვეთი მიეკუთვნა ნ. უ-ავას, არამედ ნ. უ-ავას უფლებამონაცვლედ მ. და ლ. უ-ავების ცნობის საკითხი, რადგან "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღსრულების დაიწყების წინაპირობას წარმოადგენს სააღსრულებო ფურცელში იმ პირების მითითება, რომელთა სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის გაცემა კრედიტორზე. ამავე კანონის 24-ე მუხლი კი უშვებს სააღსრულებო ფურცლის გაცემას გადაწყვეტილებაში მითითებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადო უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. კერძო საჩივრის ავტორები კი მოთხოვნას ამყარებენ იმ გარემოებებზე მითითებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში შედის, რის გამოც არ არსებობს მისი უ-ავებისათვის გადაცემის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კერძო საჩივარში მითითებული არგუმენტების დასაბუთება-საფუძვლიანობის შემოწმება ვერ გახდება კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განსჯის საგანი, რადგან ეს ფაქტობრივად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვას ნიშნავს, რაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაიშვება მხოლოდ იმ პირობებში, თუ არსებობს სსსკ-ის 421-ე-423-ე მუხლების შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წანამდღვრები.

შესაბამისად, იმ ვითარებაში, თუ კერძო საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. უ-ავასათვის სადავო 89 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიკუთვნების სამართლებრივი საფუძველი, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, თუ არსებობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ამგვარი განცხადების წარდგენის საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორები ასევე უთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, როგორ მოხდა მ. და ლ. უ-ავების სახელზე ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სასამართლო დავა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, თუ კერძო საჩივრის ავტორები სადავოდ ხდიან 2006 წლის 2 ნოემბერს მ. და ლ. უ-ავების სახელზე განხორციელებულ რეესტრის ჩანაწერს, აღნიშნულის კანონიერებაზე მათ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ იდავონ ახალი სასარჩელო წარმოების წესით და აღნიშნული ასევე არ წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანს.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ გამო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა არგუმენტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინების კანონსაწინააღმდეგობის თაობაზე იმ მოტივით, რომ არ არსებობდა ნ. უ-ავას უფლებამონაცვლეობად მ. და ლ. უ-ავების ცნობის საფუძველი, რადგან ამ უკანასკნელთ მემკვიდრეობა არ აღუდგენიათ კანონით დადგენილი წესით, ამასთან, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად მ. და ლ. უ-ავებისა, მითითებული იყო მ. და ნ. უ-ავები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად ცნო ნ. უ-ავას უფლებამონაცვლეობად მ. და ლ. უ-ავები, რადგან განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მ. და ლ. უ-ავები არიან ნ. უ-ავას შვილები. მათ დედის სიცოცხლეში ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს მისი კუთვნილი ქონება, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ მ. და ლ. უ-ავებმა მიიღეს დედის დანაშთი ქონება, დგინდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოებებზე კერძო საჩივრის ავტორებს არ მიუთითებიათ.

ასევე უსაფუძვლოა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველს არ წარმოადგენს კერძო საჩივრის ავტორთა არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად მ. და ლ. უ-ავებისა, მითითებული იყო მ. და ნ. უ-ავები, რადგან აღნიშნული ტექნიკური უსწორობა სსსკ-ის 260.1 მუხლის შესაბამისად, შესწორდა სასამართლოს ინიციატივით 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით. შესაბამისად, კერძო

საჩივრის ავტორებს არ მიუთითებიათ ამგვარი შესწორების შეტანის დაუშვებლობის დასასაბუთებლად რაიმე არგუმენტებზე და კერძო საჩივარი სსსკ-ის 260.2 მუხლის შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის განჩინებაზე არ წარმოუდგენიათ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე., თ., პ. და ი. ხ-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე., თ., პ. და ი. ხ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერებაზე

განჩინება

-ბს-436-421(კს-09) 30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 18 დეკემბერს გ. ც-ძემ სარჩელი აღძრა ქობულეთის რაიონულ სასამართლოში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიმართ, მესამე პირის - ჯ. რ-ძის მონაწილეობით და მოითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის 2007 წლის 18 სექტემბრის -64 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ც-ძემ და მოითხოვა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2008 წლის 5 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა აპელანტ გ. ც-ძის წარმომადგენელმა ი. ზ-ძემ, წარადგინა გ. ც-ძის გარდაცვალების მოწმობა და იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ გ. ც-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე, რადგან ამ უკანასკნელს ჰყავდა რამდენიმე უფლებამონაცვლე, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში დასაშვები იყო უფლებამონაცვლეობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გ. ც-ძის წარმომადგენლის ი. ზ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმის წარმოება შეჩერდა გ. ც-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

2008 წლის 18 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მესამე პირის - ჯ. რ-ძის წარმომადგენელმა და მოითხოვა საქმის გაჭიანურებისა და მესამე პირისათვის ფინანსური

ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის - ნ. ნ-ძისა და ვაჟიშვილის - ბ. ც-ძის ჩართვა იმ მოტივით, რომ საქმეში მესამე პირად მონაწილე ჯ. რ-ძეს სადავო მშენებლობის ნებართვის საფუძველზე დაწყებული აქვს სასტუმროს მშენებლობა, რისთვისაც ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება. მშენებლობის ნებართვის შეჩერებისა და მშენებლობის წარმოების შეჩერების გამო, ვერ მოხერხდა სასტუმროს დადგენილ ვადებში ექსპლუატაციაში გაშვება და საკრედიტო გრაფიკით დადგენილი თანხების დროულად დაფარვა, რის გამოც ბანკმა შეაჩერა კრედიტის გაცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. რ-ძე განიცდის ფინანსურ ზიანს.

აღნიშნული მიმართვის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შეტყობინება გაუგზავნა გ. ც-ძის ოჯახის წევრებს და დაავალა ეცნობებინათ სასამართლოსათვის გ. ც-ძის დანაშთ ქონებაზე გაცემული იყო თუ არა სამკვიდრო მოწმობა და ჰქონდათ თუ არა მოცემული დავის გაგრძელების სურვილი.

სააპელაციო სასამართლოს დავალების შესაბამისად, 2009 წლის 11 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ც-ძის მეუღლემ - ნ. ნ-ძემ და მიუთითა, რომ მან, როგორც გარდაცვლილი გ. ც-ძის პირველი რიგის მემკვიდრემ, ვერ მოახერხა სამკვიდრო მოწმობის მიღება, რადგან ამ პერიოდისათვის არ იყო გასული სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადა. შესაბამისად, სამკვიდროს მიღების შესახებ აცნობებდა სასამართლოს, რათა ჩართულიყო გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ.

2009 წლის 16 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ჯ. რ-ძის წარმომადგენელმა და მოითხოვა საქმეში გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის - ნ. ნ-ძისა და მისი შვილის - ბ. ც-ძის ჩართვა იმ მოტივით, რომ გ. ც-ძის ოჯახის წევრები შეუდგნენ სამკვიდროს ფლობას, რითაც, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივად მიიღეს სამკვიდრო. შესაბამისად, სავალდებულო არ არის სამკვიდრო მოწმობის აღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება, გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. ნ-ძე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღარ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, რადგან აღმოფხვრილი იყო ის გარემოება, რის გამოც შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება, ანუ უფლებამონაცვლეობა იყო დადგენილი. კერძოდ, სასამართლოში წარდგენილი იყო გ. ც-ძის მეუღლის - ნ. ნ-ძის განცხადება, რომლის მიხედვით, იგი იყო პირველი რიგის მემკვიდრე და სურდა დავის გაგრძელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ საქმეში უნდა ჩაერთოს მისი მეუღლე ნ. ნ-ძე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ც-ძის უფლებამონაცვლემ - ნ. ნ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას სააპელაციო სასამართლოსათვის არ მიუმართავს შუამდგომლობით სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ნ. ნ-ძის განცხადების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა, არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ არ არსებობდა საქმის განახლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, სასამართლოს არ მიუთითებია კანონით დადგენილი საფუძვლების არარსებობის პირობებში რატომ მოხდა საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ნ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, დასაბუთებულია კერძო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები საპროცესო დარღვევების შესახებ, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე", "ე¹" ქვეპუნქტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ იყო სსსკ-ის 283-ე მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლებისა და აპელანტის - აწ გარდაცვლილი გ. ც-დის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის - ნ. ნ-დის ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

სსსკ-ის 279-ე მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. სსსკ-ის 281-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, მითითებული საფუძვლით საქმის წარმოება შეჩერდება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა, ხოლო სსსკ-ის 283-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო განახლებს საქმის წარმოებას, იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია საქმის წარმოების შეჩერება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აპელანტ გ. ც-დის გარდაცვალების გამო, 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შეაჩერა საქმის წარმოება ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლის დადგენამდე. სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია მოცემულ დავაზე უფლებამონაცვლეობა, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს გ. ც-დის ანდერძისმიერ ან კანონისმიერ მემკვიდრეებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა ნ. ნ-დის მიერ სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 11 თებერვალს წარდგენილი განცხადების საფუძველზე, გ. ც-დის უფლებამონაცვლედ ნ. ნ-დის ცნობისა და საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოს მიმართვის შესაბამისად, გ. ც-დის ოჯახის წევრებს ეცნობებინათ, მოხდა თუ არა გ. ც-დის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა და სურდათ თუ არა მის მემკვიდრეებს დავის გაგრძელება, გ. ც-დის მეუღლემ - ნ. ნ-მემ განცხადება წარადგინა სააპელაციო სასამართლოში, სადაც მიუთითა, რომ იმ პერიოდისათვის მას არ ჰქონდა სამკვიდრო მოწმობა მიღებული, რადგან არ იყო გასული სამკვიდროს მისაღებად დადგენილი 6-თვიანი ვადა, დააფიქსირა, რომ სურვილი ჰქონდა დავის გაგრძელების და სამკვიდროს მიღების შესახებ აცნობებდა სასამართლოს, რათა მომხდარიყო მისი ჩართვა გ. ც-დის უფლებამონაცვლედ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი შინაარსის განცხადება არ იძლეოდა უფლებამონაცვლის დადგენის საფუძველს, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის შესაბამისად, მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს შეუძლიათ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდროს მოწმობა, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამკვიდროს მოწმობის მიღება სავალდებულოა. ამავე კოდექსის 1500-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დღეს.

სააპელაციო სასამართლოში არ იყო წარდგენილი გ. ც-დის დანაშთ ქონებაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა, შესაბამისად, გაურკვეველი იყო მიიღეს თუ არა მემკვიდრეებმა გ. ც-დის სამკვიდრო შესაბამისი უფლებებითა და ვალდებულებებით, შესაბამისად, გაურკვეველი იყო ვინ იქნებოდა უფლებამოსილი ჩართულიყო მოცემულ დავაში გ. ც-დის უფლებამონაცვლედ. ამის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მხოლოდ ნ. ნ-დის მითითება, რომ იყო პირველი რიგის მემკვიდრე და სურდა დავის გაგრძელება, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გარეშე.

გარდა აღნიშნულისა, ნ. ნ-მე მოითხოვდა თუ არა წარდგენილი განცხადებით როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, საქმეში გ. ც-დის უფლებამონაცვლედ ჩართვას, ამგვარი ნების გამოხატვის პირობებშიც სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა სსსკ-ის 283-ე მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოში არ იყო წარდგენილი არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ნ. ნ-მეს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, მიღებული ჰქონდა გ. ც-დის სამკვიდრო ქონება და, რომ არ არსებობდნენ სხვა მემკვიდრეები, რომლებიც პრეტენზიას განაცხადებდნენ გ. ც-დის სამკვიდროზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით, ხოლო კერძო საჩივარი დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების კრიტიკის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას სათანადო მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოკვლევის შედეგად უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა საქმის წარმოების განახლების წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ნ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

განჩინება

-ბს-158-153(კს-09) 25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

17.02.05წ. ს. ი-მემ რ. გ-მის, ჯ. მ-მის, ზ. კ-მის, აწყურის თემის საკრებულოსა და ახალციხის მიწის მართვის სამმართველოს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ახალციხის რაიონულ სასამართლოში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19.11.04წ. განაჩენით რ. გ-მისა და ჯ. მ-მის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული-სათვის სასჯელის ზომად შეეფარდათ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა გამოსაცდელი ვადით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679^ა მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმება კონკრეტულ მოპასუხეებთან მიმართებით არ ართმევდა მოსარჩელეს სამოქალაქო სარჩელის შეტანის უფლებას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული განაჩენით დადგენილი იყო რ. გ-მისა და ჯ. მ-მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, რაც 59859 ლარს შეადგენდა. გარდა ამისა, რ. გ-მისა და ჯ. მ-მის უკანონო ქმედებამ მოსარჩელეს მიაყენა ფიზიკური და მორალური ზიანიც, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნერვიულობის შედეგად მას დაუზიანდა მხედველობა, რის გამოც ოპერაცია და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა, რაზეც 3500 ლარი დაეხარჯა. ამასთან, რ. გ-მემ და ჯ. მ-მემ წააქეხეს ზ. კ-მე და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განცხადება შეატანინეს, რომლითაც იგი ბრალს სდებდა ს. ი-მეს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ზ. კ-მემ ხსენებული განცხადებით მას ცილი დასწამა და მოითხოვა მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, რის შედეგადაც მოსარჩელეს მორალური ზიანი მიადგა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზემოთ დასახელებული მსჯავრდებულები დანაშაულის ჩადენის დროს მუშაობდნენ სახელმწიფო სამსახურში, მათ განზრახ დაარღვიეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობები, ჩაიდინეს დანაშაული, რითაც მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებშიც მოპასუხეები მუშაობდნენ, კერძოდ, აწყურის თემის საკრებულო და ახალციხის მიწის მართვის სამმართველო წარმომადგენდნენ სათანადო მოპასუხეებს და საქართველოს საოლქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მათაც უნდა დაკისრებოდათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის 59 859 ლარის, მკურნალობის ხარჯების - 3 500 ლარის, ადვოკატის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის - 5 000 ლარისა და მორალური ზიანის - 25 000 ლარის, სულ - 93 359 ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 02.06.05წ. გადაწყვეტილებით ს. ი-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ჯ. მ-მის და რ. გ-მის მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 59 859 ლარის მატერიალური ზიანისა და 300-300 ლარის ოდენობის მორალური ზიანის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 02.06.05წ. გადაწყვეტილება ჯ. მ-მემ და რ. გ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. აპელანტებმა აღნიშნული გა-

დაწვევები გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.01.07წ. საოქმო განჩინებით აწყურის თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.10.07წ. განჩინებით ჯ. მ-ძისა და რ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჯ. მ-ძისა და რ. გ-ძისათვის სოლიდარულად 59859 ლარის მატერიალური ზიანის, 300-300 ლარის მორალური ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის - 1 436 ლარის დაკისრების ნაწილში და მოცემული საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.10.07წ. განჩინება ს. ი-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 59859 ლარის მატერიალური ზიანისა და 300-300 ლარის ოდენობის მორალური ზიანის დაკისრება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.01.08წ. განჩინებით ს. ი-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 04.06.08წ. გადაწყვეტილებით ს. ი-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ჯ. მ-ძესა და რ. გ-ძეს დაეკისრათ 59 859 ლარის და სახელმწიფო ბაჟის სოლიდარულად გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს. ი-ძემ, ჯ. მ-ძემ და რ. გ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.08წ. განჩინებით ს. ი-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ს. ი-ძეს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაბარდა 15.08.08წ., რაც დასტურდებოდა თ. ი-ძის ხელმოწერით. სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეტანილ იქნა 04.09.08წ. გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. ი-ძემ. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სსკ-ის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, აღედგინა სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის ვადა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ არ იხელმძღვანელა სსკ-ის 369-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მხარისათვის ჩაბარებად მიიჩნია სადავო გადაწყვეტილების გადაცემა თ. ი-ძისათვის, რომელიც არ არის ს. ი-ძის ოჯახის წევრი. ს. ი-ძის სააპელაციო საჩივარში გასაჩივრების ვადის აღდგენის შუამდგომლობა იმის გამო იქნა მითითებული, რომ ს. ი-ძეს არ ახსოვდა გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი. ამის გამო შეცდომით მიუთითა, რომ სადავო გადაწყვეტილება 10.08.08წ. ჩაიბარა. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, თ. ი-ძემ ს. ი-ძეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მხოლოდ 30.08.08წ. გადასცა. ამასთანავე, სასამართლომ უნდა გაითავალისწინოს, რომ ს. ი-ძის წარმომადგენელი ცხოვრობს ქ. გორში, სადაც 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა და წარმომადგენელს არ შეეძლო ს. ი-ძესთან შეხვედრა. სსკ-ის 215.3 მუხლის მიხედვით, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობის და განცხადების წარუდგენლობა სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან შუამდგომლობის წარდგენას. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა გავლენას არ ახდენს ს. ი-ძის სააპელაციო საჩივრის წარმობაში მიღებაზე, ვინაიდან სსკ-ის 46-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლებული არიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სარჩელზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ს. ი-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ი-ძემ ახალციხის რაიონული სასამართლოს 04.06.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით 04.09.08წ. გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გადაეცა 10.08.08წ. როდესაც საომარი მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო ქ. გორში მცხოვრებ მისი ინტერესების დამცველ ადვო-

კატთან დაკავშირება. აღნიშნულის გამო სასამართლოს მიერ დადგენილ გასაჩივრების ვადაში ვერ მოხერხდა სააპელაციო საჩივრის წარდგენა. აპელანტმა ვადის გაცდენის საპატიოდ ჩათვლა მოითხოვა. სააპელაციო საჩივარს ხელს აწერენ აპელანტი ს. ი-მე და მისი წარმომადგენელი. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა თვლის, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს 04.06.08წ. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა ს. ი-მისათვის უნდა დაიწყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღიდან, 2008 წლის 11 აგვისტოდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. ი-მემ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 04.09.08წ., გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით წარადგინა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმა სპეციალურია და განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ იყო ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის 65-ე მუხლით, ემსჯელა გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლასა და აღდგენაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ი-მის წარმომადგენლის ყოფნა ქ. გორში, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები, გასაჩივრების ვადის დინების შეჩერების საფუძველს არ ქმნიდა. ასკ-ის 93.2 მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმის წარმოებაში. ასკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადებით დადგენილია, რომ წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი - წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. განსახილველ შემთხვევაში ს. ი-მეს უფლება ჰქონდა პირადად წარედგინა სააპელაციო საჩივარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. განსახილველ შემთხვევაში ს. ი-მის სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა ს. ი-მის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ი-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. მტკიცებულებები

მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

განჩინება

-ბს-244-238(კ-08)

11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,

5. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ჯარიმის დაკისრება, ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 სექტემბერს ქ. თბილისის "არქმშენისსპექცია" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ნ. ბ-შვილის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში ნ. ბ-შვილის მიერ მიმდინარეობდა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობა პროექტისა და მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის გარეშე, რითაც მის მიერ დარღვეული იყო "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნები. შესაბამისად, დარღვეულ იქნა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისათვის დადგენილი საორგანიზაციო წესები. მიუხედავად გაფრთხილებისა, ხსენებული დარღვევები ნ. ბ-შვილის მიერ გამოსწორებული არ იქნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის "თ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა ნ. ბ-შვილის დაჯარიმება 3000 ლარით და მოპასუხის დავალდებულება, მოეყვანა ზემოხსენებული ობიექტი პირვანდელ მდგომარეობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ჟ. ტ-ში.

ნ. ბ-მემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას წარუდგინა შეპასუხება, რომელშიც მიუთითა, რომ ქ. თბილისის "არქმშენისსპექციის" 2005 წლის 21 აგვისტოს -40-2 დადგენილება შედგენილი იყო არა ბ-ძის, არამედ ბ-შვილის მიმართ, ხოლო არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ ოქმი - 2005 წლის 11 აგვისტოს, რის შესახებაც მისთვის არ იყო ცნობილი, ვიდრე სასამართლოდან არ მიიღო შესაბამისი გზავნილი. ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში არსებული სურსათვაჭრობის -3 პავილიონის -2 ფილიალი ნ. ბ-ძის მიერ შექმნილ იქნა 1998 წლის 19 ოქტომბერს, რასაც ადასტურებდა შესაბამისი ხელშეკრულება, ასევე, გეგმა-ნახაზი, გაცემული 1998 წლის 30 აგვისტოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ. ამდენად, აღნიშნული შენობა-ნაგებობა არსებობდა 1998 წლისათვის და იგი ამჟამად არ აწარმოებდა მის მშენებლობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნ. ბ-მემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის "არქმშენისსპექციის" სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე ნ. ბ-ძეს დაევალა ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში ნაწარმოები უკანონო მშენებარე ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა; მოპასუხე ნ. ბ-ძეს დაევალა ქ. თბილისის "არქმშენისსპექციის" 2005 წლის 21 აგვისტოს -40-2 დადგენილებით მისთვის ჯარიმის სახით დაკისრებული 3000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობითა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ სადავო მისამართზე, სადაც მოსარჩელის მიერ შედგენილი იყო არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ ოქმი, შესაბამისი ობიექტი ეკუთვნოდა ნ. ბ-ძეს. მოსარჩელის მიერ დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა და ბ-ძის ნაცვლად, მითითებული იყო ბ-შვილი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის "არქმშენისსპექციის" მიერ, ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში მშენებლობასთან დაკავშირებით, 2005 წლის 11 აგვისტოს შედგენილ იქნა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ ოქმი, რომლის შედგენა განაპირობა მოპასუხე ნ. ბ-ძის მიერ მშენებლობის წარმოებისას "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნების დაუცველობამ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მხრიდან მისი გვარის მექანიკურად, შეცდომით მითითება წარმოადგენდა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს, ასევე, მისი მოსაზრება, რომ მას 1998 წლის შემდეგ არანაირი სამშენებლო სამუშაოები არ უწარმოებია, ვინაიდან აღნიშნული დადასტურებული იყო საქმეში წარმოდგენილი, მოსარჩელის მიერ ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ზე შედგენილი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ ოქმითა და შესაბამისი დადგენილებით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე ნ. ბ-მემ ქ. თბილისში,

...-ს ქ. -68-ში ობიექტის მშენებლობა აწარმოვა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაუცველად, კერძოდ, ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტის, მშენებლობის სათანადო ნებართვის, რომელსაც არ გაუვლია სათანადო ექსპერტიზა და ლიცენზირებული სამშენებლო ორგანიზაციის გარეშე. "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "თ" პუნქტის თანახმად, მშენებლობის წარმოების ნებართვა იყო მშენებლობის პროექტის განხორციელების საფუძველი, რომელსაც დამკვეთზე დადგენილი წესით გასცემდა მთავარი არქიტექტურის ინსპექცია ან ადგილობრივი არქიტექტურის ინსპექცია. იმავე კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მიხედვით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევად განიხილებოდა ობიექტის მშენებლობის დაწყება სათანადო ნებართვის გარეშე, აგრეთვე, ობიექტის მშენებლობის განხორციელება უპროექტოდ ან პროექტით, რომელსაც არ გაუვლია ექსპერტიზა დადგენილი წესით. "მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ექსპერტიზის ფუნქცია იყო შეემოწმებინა და დაედგინა მშენებლობის პროექტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მშენებლობისათვის დამტკიცებულ კონცეფციებსა და სახელმწიფო პროგრამებთან, სამშენებლო ნორმებსა და წესებთან. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ექსპერტიზის დანიშნულება იყო მშენებლობის პროექტის ხარისხის ამაღლება და ისეთი ობიექტების მშენებლობაზე უარის თქმა, რომელთა აგება და ექსპლუატაცია არ შეესაბამებოდა სახელმწიფო ნორმებს და წესებს ან ლახავდა ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ნ. ბ-ძის მიერ ნაწარმოები მშენებლობა იყო უპროექტო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ აღნიშნული მშენებლობა არ გამხდარა სახელმწიფო ექსპერტიზის მსჯელობის საგანი, არ იქნა გამორკვეული მშენებლობის შესაბამისობა სამშენებლო ნორმებსა და წესებთან, არ იქნა გათვალისწინებული იმ პირთა ინტერესები, რომელთა საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასაც უნდა განეცადა მშენებლობის შედეგად ზემოქმედება. "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოპასუხე მხარეს უნდა დავალებოდა მუხიანის პირველი შესახვევის -18-ში აშენებული ობიექტის დანგრევა და ტერიტორიის ნანგრევებისაგან გაწმენდა, რადგან არ არსებობდა მისი აგებისა და შენარჩუნების სამართლებრივი საფუძველი (პროექტი, მშენებლობის ნებართვა). იმავე კანონის მე-5 მუხლის "ბ" პუნქტის "ბ.გ" ქვეპუნქტის მიხედვით, მოპასუხე ნ. ბ-ძეს უნდა დავალებოდა ქ. თბილისის "არქიტექტურის ინსპექციის" 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით ჯარიმის სახით მისთვის დაკისრებული 3000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 18 აპრილის საოქმო განჩინებით ქ. თბილისის "არქიტექტურის ინსპექციის" უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნია, რომ საწინააღმდეგო შინაარსის მტკიცებულებანი და არგუმენტები სააპელაციო საჩივარში არ იყო მოყვანილი. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართებულობა, გარკვეულწილად, დადასტურდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის განმარტებითაც იმის შესახებ, რომ მან შესაბამისი ნაგებობის დაკანონების მოთხოვნით მიმართა ქ. თბილისის მერიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ 2005 წლის 11 აგვისტოს ოქმის მიხედვით, ქ. თბილისის "არქიტექტურის ინსპექციის" სპეციალისტების მიერ ჩატარებული შემოწმების თანახმად, ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში მიმდინარეობდა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობა, რაც იყო არასწორი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ

გაითვალისწინა და არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, რაც მთლიანობაში აბათილებდა ხსენებულ ოქმში მოყვანილ გარემოებებს. კასატორის მიერ წარდგენილ იქნა ნახაზები, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა ფართის დანგრევაზე და თითქოსდა უკანონო მშენებლობაზე ედავება მას ქ. თბილისის "არქმშენისსპექცია" 1998 წლიდან. კასატორის მიერ 1994 წელს იქნა მიშენებული ის ფართი, რომელიც მითითებული იყო დასახელებულ ოქმში. 2005 წლის 11 აგვისტოს კასატორი არანაირ მშენებლობას არ აწარმოებდა და 2005 წლის აგვისტოში იგი ატარებდა კოსმეტიკურ სამუშაოებს, ვინაიდან 1999 წელს შენობას გაუჩნდა ხანძარი და გაიმურა კედლები. აღნიშნული ობიექტი ნ. ბ-მემ 1993 წელს შეიძინა აუქციონზე და 1994 წელს დამატებით მიაშენა 81 კვ.მ ფართი, რის შესახებაც გააჩნია საინვენტარიზაციო გეგმა, ხოლო საინვენტარიზაციო გეგმას არ გაცემდნენ, თუ შენობა არ იყო დასრულებული და არ ჰქონდა სახურავი. კასატორს გააჩნია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან აღებული მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმა, სადაც მითითებულია შენობის ფართობზე. კასატორის მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული შენობა არსებობს 1994 წლიდან იმავე მდგომარეობით, როგორც იყო 2005 წელს, ხოლო არც ძველი და არც ახალი კანონი მას არ უშლის ხელს მის ლეგალიზაციაში. გარდა ამისა, კასატორმა ვერ მოიპოვა რაიმე დოკუმენტი, რომელიც მოითხოვდა კოსმეტიკური სამუშაოებისათვის ნებართვას.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის -660 ბრძანებულება, რომლითაც მიმდინარეობს უკანონო შენობა-ნაგებობების დაკანონება. გასაჩივრებული განჩინება კი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 27 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 15 მაისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინებით ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 26 ივნისს, 13.00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით მხარეთა - ნ. ბ-მისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე შეჩერდა ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარზე წარმოება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საქმის დასრულებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, ქ. თბილისის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ, მხარეების - ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შუამდგომლობისა და ქ. ტ-მის განცხადების საფუძველზე, რასაც დაეთანხმა ნ. ბ-მემ განახლდა ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება და ხსენებული საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 11 დეკემბერს, 12.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის "არქმშენისსპექციის" მიერ, ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, 2005 წლის 11 აგვისტოს შედგენილ იქნა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევების შესახებ ოქმი, რომლის თანახმად მოპასუხე ნ. ბ-მის მიერ მშენებლობის წარმოებისას დარღვეულ იქნა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნები, კერძოდ, ნ. ბ-მემ მშენებლობა აწარმოა ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტის, მშენებლობის სათანადო ნებართვისა და ლიცენზირებული სამშენებლო ორგანიზაციის გარეშე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში არსებული, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს -23/75-ა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობისა და 1993 წლის 24 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ნ. ბ-მეს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ...-ს ქუჩის -68-ში მდებარე სურსათის -3 პავილიონის ფილიალი -2. საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად კი კანონიერი ნაგებობების საერთო სასარგებლო ფართი შეადგენდა - 33,24 კვ. მეტრს, ხოლო უკანონო ნაგებობების საერთო სასარგებლო ფართი - 81,08 კვ. მეტრს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნ. ბ-მემ განაცხადა, რომ მან "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" 2007 წლის 11 ივლისის საქართველოს კანონისა და "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის -660 ბრძანებულების საფუძველზე მოახდინა ქ. თბილისში, ...-ს ქუჩის -68-ში მდებარე მიწის ნაკვეთის დაკანონება და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზაცია. შესაბამისად, განახორციელა ხსენებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციაში სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების გამოთხოვისა და მიღების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს სადავო შენობა-ნაგებობების სამართლებრივი მდგომარეობა. თუ დღევანდელი მდგომარეობით (ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად) ქ. თბილისში, ...-ს ქ. -68-ში მდებარე შენობა-ნაგებობები ლეგალიზებულია, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია ამ ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

რაც შეეხება ნ. ბ-მის 3000 ლარით დაჯარიმების სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით ამჟამად გათვალისწინებულ სახდელის ფარგლებში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევა

განჩინება

-ბს-397-381(კ-08)

7 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: მიწის სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 22 მარტს რ. პ-მე-ნ-უამ სარჩელი აღძრა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ნ-უას მიმართ და მოითხოვა ამირან და გ. ნ-უების სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ქ. ოზურგეთში, ...-ს ქ. -ნა-ში (ამჟამად ...-ს ქ. I ჩიხი, -8) ცხოვრობდა გ. ნ-უა მეუღლესთან ერთად. 1958 წელს გ. ნ-უამ თავისი საკარმიდამო 561 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 300 კვ.მ გამოუყო საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და საკარმიდამოდ თავის შვილს, მოსარჩელის მეუღლეს - ა. ნ-უას, რაც დამტკიცდა 1958 წლის 16 აპრილს ოზურგეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის -29 ოქმით. ნაკვეთის გამოყოფის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება. სახლის მშენებლობაზე შედგა პროექტი და მშენებლობა დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში.

1986 წელს გ. ნ-უამ ძველი სახლის დანგრევისა და ახლის აგების ნებართვის მისაღებად მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომლის 1986 წლის 18 ივნისის -137 გადაწყვეტილებით გ. ნ-უას ნება დაერთო ავარიული სახლის დანგრევისა და ახლის აგების თაობაზე. ამ პერიოდისათვის ყოფილი ...-ს ქუჩა იწოდებოდა ... ქუჩად. გ. ნ-უას სახელზე გაცემული სახლის პროექტისა და საკარმიდამო ნაკვეთის სიტუაციური გეგმის მიხედვით საზღვარი ამირან და გ. ნ-უების საკარმიდამო ნაკვეთებს შორის, გ. ნ-უას საცხოვრებელ სახლსა და ა. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთზე განთავსებულ სამზარეულოს შორის, დადგინდა 80 სმ. გ. ნ-უას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რამაც ჩაკეტა ...-ს ქუჩა და იგი ფაქტობრივად გაუქმდა. აღნიშნულის შედეგად გ. ნ-უამ მიიერთა გზის ნაწილი.

მოსარჩელის მითითებით, ა. ნ-უას გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო დავა საზღვართან დაკავშირებით, რაც განაპირობა იმ გარემოვამ, რომ გ. და ა. ნ-უების სახელზე გაცემულ მიწის სარეგისტრაციო მოწმობებში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, ა. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთის სიგრძე ჭიშკრიდან საზღვრამდე დაფიქსირებულია 33,7 მეტრი, რეალურად კი შეადგენს - 52,05 მეტრს.

რ. პ-მე-ნ-უას სარჩელი არ ცნო მოპასუხე მ. ნ-უამ და მოითხოვა საქმეში მოპასუხედ თ. ნ-უას ჩართვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 მაისის განჩინებით მესამე პირად ჩაერთო ქ. ოზურგეთის მერია.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით რ. პაიჭამე-ნი-ნუას სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ქ. ოზურგეთში, ... ჩიხის -8ა-ში გ. ნ-უას სახელზე რიცხული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა; ოზურგეთის რაიონული გამგეობის არქიტექტურის სამსახურს დაევალა მიწათსარგებლობის საზღვრების დადგენის მიზნით, გ. ნ-უას სახელზე მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმის შედგენა ბინათმშენებლობის პროექტის მიხედვით, რომლითაც გამოიჯნულია ა. ნ-უას მიწის ნაკვეთის საზღვარი გ. ნ-უას საცხოვრებელი სახლიდან 80 სმ-ის დაშორებით, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა გ. ნ-უას სახელზე არქიტექტურული სამსახურის მიერ შედგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარება, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდა მითინა, რომ გ. ნ-უას სახელზე ირიცხებოდა 600 კვ.მ საკარმიდამო ნაკვეთი. 1958 წელს გ. ნ-უამ თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან 300 კვ.მ დაუთმო თავის შვილს - ა. ნ-უას საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მას ფაქტობრივად დარჩა 300 კვ.მ, რაც დასტურდება მახარადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სანოტარო წესით დამოწმებული პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ 1958 წლის 24 აპრილის -44 ხელშეკრულებით ქ. მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექადრიცხვის ბიუროს გამგემ აღმასკომის 1958 წლის 16 აპრილის -29 ოქმის შესაბამისად, ა. ნ-უას გამოუყო 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი ერთსართულიანი, 4-ოთახიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად უვადო სარგებლობის საფუძველზე. ხელშეკრულებაზე დართული სახლის გეგმის მიხედვით ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ფართი შეადგენდა 70,8 კვ.მ-ს. 1986 წელს გ. ნ-უამ მოითხოვა ახალი სახლის აშენება მის საკუთრებაში არსებულ 345 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც დადასტურებულია ოზურგეთის რაიონული სახელმწიფო არქივის მიერ 2005 წლის 28 ნოემბერს გაცემული მახარაძის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 18 ივნისის -137 გადაწყვეტილებით. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ნება დართო გ. ნ-უას დაეშალა ძველი ავარიული სახლი და აეშენებინა ახალი დამტკიცებული პროექტის მიხედვით. სახლის მშენებლობა დამთავრდა 1987 წელს, მაგრამ ახალი სახლი ტექნიურში გ. ნ-უას სახელზე არ აღრიცხულა. ძველი სახლი, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობს, კვლავ ირიცხება გ. ნ-უას სახელზე, კერძოდ, მის სახელზე ირიცხება 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი ნაცვლად 300 კვ.მ-ისა, იმის გამო, რომ არ მომხდარა სათანადო ცვლილებების შეტანა ტექნიურში არსებულ ჩანაწერებში. თუმცა ბინათმშენებლობის პროექტში მიწის ნაკვეთის ოდენობა დაფიქსირებულია 300 კვ.მ-ის ფარგლებში, ა. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთსა და გ. ნ-უას საცხოვრებელ სახლს შორის 80 სმ-ის დაშორებით, ხოლო რ. პ-ძის საკუთრებაში არსებული 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი გაზრდილია მდინარის კალაპოტისა და ქუჩის ჩაკეტვის შედეგად, მაგრამ ქ. ოზურგეთის მერია სადავოდ არ ხდის რ. პ-ძის მიერ 300 კვ.მ ნაკვეთის მიმატებას გზის ხარჯზე.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია შპს "ექსპრეს-სერვისის" მიწის კადასტრისა და შენობა-ნაგებობების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის სამსახურის მიერ გაცემული საკადასტრო რუკა ქ. ოზურგეთში, ... I ჩიხის -8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობის ა. ნ-უას სახელზე აღრიცხვისა და ა. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთსა და გ. ნ-უას საცხოვრებელ სახლს შორის 80 სმ-იანი საზღვრის არსებობის შესახებ, ასევე, ამავე სამსახურის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება, რომლის თანახმად, ქ. ოზურგეთში, ... I ჩიხის -8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს მესაკუთრეა მოსარჩელე რ. პ-ძის აწ გარდაცვლილი მეუღლე ა. ნ-უა.

ოზურგეთის რაიონის გამგებლის მიერ 2005 წლის 3 ნოემბერს გაცემული ცნობის მიხედვით, რ. პ-ძის მოსაზღვრედ მცხოვრები მ. ნ-უას საცხოვრებელი სახლი, რომელიც აღრიცხულია გ. ნ-უას სახელზე, 1986 წელს შედგენილი ბინათმშენებლობის პროექტით აშენებულია რ. პ-ძის მიწის ნაკვეთის საზღვრიდან 80 სმ-ის დაშორებით, რომლის დარღვევისა და დაუცველობის შემთხვევაში ირღვევა მესაკუთრის კანონიერი უფლებები.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც გაცემულია 2006 წლის 31 იანვარს ა. ნ-უას სახელზე და რომლის მიხედვით ქ. ოზურგეთში, ... ჩიხის -8-ში არსებულ 511,41 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს საკუთრების უფლებით ფლობს ა. ნ-უას ოჯახი, სწორადაა გაცემული, ხოლო გ. ნ-უას სახელზე 2006 წლის 31 იანვარს გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობა, რომლის თანახმად, ქ. ოზურგეთში, ... ჩიხის -8ა-ში არსებულ 661,20 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს საკუთრების უფლებით ფლობს გ. ნ-უას ოჯახი, გაცემულია არასწორად, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

რაიონული სასამართლოს მითითებით, 1986 წელს შედგენილი და რაიონის არქიტექტორთან შეთანხმებული ბინათმშენებლობის პროექტის მიხედვით გამოიჯნულია მიწის საზღვარი გ. ნ-უას საცხოვრებელი სახლიდან 80 სმ-ის დაშორებით ა. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთამდე. გ. ნ-უას სახელზე აღრიცხულ საცხოვრებელი სახლის პროექტში ზუსტადაა ასახული მიწის ნაკვეთის ზომები და საზღვრები, კერძოდ, გ. ნ-უას სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის ოდენობა ემთხვევა ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის ოდენობას, მაგრამ არასწორი მონაცემებითაა გაცემული მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მოწმობა გ. ნ-უას სახელზე, სადაც გატარებულია 661,20 კვ.მ, ხოლო ა. ნ-უას სახელზე საკუთრების მოწმობა ფაქტიურად სწორადაა გაცემული მიწის ნაკვეთის იმ ოდენობის შესაბამისად, რასაც ფაქტობრივად მოსარჩელე ფლობს. ქალაქის მერიას კი რაიმე პრეტენზია არა აქვს და რაიმე მოთხოვნა არ დაუყენებია იმის გამო, რომ მოსარჩელეს მიერთებული აქვს ქუჩის და მდინარის ნაპირის ნაწილი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გ. ნ-უას სახელზე გაცემულია კანონის დარღვევით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. და თ. ნ-უებმა და მოითხოვეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი მოტივით:

აპელანტების მითითებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, სასამართლოს არ გამოუკვლევია რეალურად არსებული ფაქტობრივი გარემოებები, არ იქნა მოპოვებული მტკიცებულებები, რაც აუცილებელია კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, ამასთან რაიონულმა სასამართლომ არ მიიღო მოპასუხეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

აპელანტების მოსაზრებით, დაუსაბუთებელია, თუ რას ემყარება რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გ. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთი თავდაპირველად მხოლოდ 600 კვ.მ-ს შეადგენდა, ამჟამად კი მხოლოდ 349 კვ.მ-ია.

აპელანტების მითითებით, მათი აწ გარდაცვლილი პაპა - გ. ნ-უას ძირძველი ოჯახი ცხოვრობდა ... ქ. -8-ში, რომელიც შემდგომში იწოდებოდა ... ქუჩად, ამჟამად კი არის ... ქ. I ჩიხის -8. აღნიშნულ ტერიტორიაზე გ. ნ-უას ეკუთვნოდა 900-1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ედგა ძველი ოდა და დამხმარე ნაგებობა - სამზარეულო. ...-სა და მის პარალელურ ...-ის ქუჩებს კვეთდა ...-ს ქუჩა. დაახლოებით 50-იანი წლების ბოლოს ... ქუჩაზე აშენდა ორი საცხოვრებელი კორპუსი, რომელმაც გადაკეტა ... ქუჩა და ფაქტობრივად გ. ნ-უას ჩაუკეტა სახლთან მისასვლელი გზა, რამაც გამოიწვია ... ქუჩიდან ნ-უების საკარმიდამო ნაკვეთამდე არსებული თბილისის ქუჩის მონაკვეთის ჩიხად გადაკეთება, რის შედეგადაც იგი იწოდება ... ქუჩის I ჩიხად. 1958 წელს გ. ნ-უამ თავისი საკარმიდამო ტეროტორიიდან 300 კვ.მ დაუთმო თავის შვილს - ა. ნ-უას საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მას დარჩა 600 კვ.მ ა. ნ-უამ 1961 წელს ააშენა საცხოვრებელი სახლი გ. ნ-უას საკუთრებაში და ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე არსებული სამზარეულო სახლის გვერდით. ამ დროისათვის ა. ნ-უას სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა მხოლოდ მამის მიერ დათმობილი 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ... ქუჩაზე ჩიხის გაკეთების შედეგად მას მიეცა შესაძლებლობა, 300 კვ.მ-ით კიდევ გაედიდებინა თავისი ფართობი და შეეგოს იგი 600 კვ.მ-მდე, რაც აისახა მის სახელზე გაცემულ ტექნიკური აღრიცხვის ბარათშიც. ნინუების ოჯახებს ჰქონდათ ერთი საერთო, მთავარი შესასვლელი ... ქუჩის I ჩიხიდან და მათ სხვა მისასვლელი გზა არ გააჩნიათ.

აპელანტების მითითებით, 1986 წელს გ. ნ-უამ დაიწყო ახალი სახლის მშენებლობა თვითონ კი ცხოვრობდა მის საკუთრებაში არსებულ დამხმარე ნაგებობაში - სამზარეულოში. 1986 წელს გ. ნ-უას სახელზე გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბარათში ფართობი დაზუსტდა და ნაცვლად 989 კვ.მ-ისა დაფიქსირდა 600 კვ.მ, რასაც ფაქტობრივად ფლობდა იგი. გ. ნ-უას ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე აღბეჭდილია ნ-უების ნაკვეთის სიტუაციური გეგმა. 1986 წლის მდგომარეობით მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით. გეგმის მიხედვით, სამზარეულო გ. ნ-უას საკარმიდამო ნაკვეთს მიეკუთვნება.

ა. ნ-უას სახელზე გაცემულ ტექნიკური აღრიცხვის ბარათში აღბეჭდილ სიტუაციურ გეგმაზე კი 1961 წლის მდგომარეობით ფიქსირებულია მხოლოდ მისი საცხოვრებელი სახლი, სამზარეულო კი მინიშნებული არ არის. ა. ნ-უას ნაკვეთზე ნაგებობის არსებობა დაფიქსირებული იქნებოდა სიტუაციურ გეგმაზეც.

აპელანტების მითითებით, აღნიშნული ტექნიკური აღრიცხვის ბარათებით ნათელი ხდება, რომ სასაზღვრო მანძილი მხარეების საკარმიდამო ნაკვეთებამდე 80 სმ-ს არ შეადგენს და იგი ნაანგარიშები უნდა იქნეს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის უკანა კედლიდან მოპასუხის ტერიტორიაზე განთავსებული სამზარეულოს გვერდით კედლამდე, რასაც ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ მოპასუხის სახლის უკან არსებულ მდინარეზე კალაპოტის ასამაღლებლად გაკეთებულია ბეტონის ჯგბირი, რომელიც გამოყენებულია სამზარეულოს უკანა კედლად, გრძელდება მთელ უკანა კედელზე და მთავრდება იქ, სადაც იწყება მოსარჩელის საკარმიდამო ნაკვეთი.

აპელანტების მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ზიანი ადგება სხვა მოქალაქეების ინტერესებსაც, რადგან ა. ნ-უას მიერ თვითნებურად მიერთებული ტერიტორია არის გზის ის ნაწილი, რომელზედაც გადის ... ქუჩის -10 კორპუსის საკანალიზაციო ქსელი. კერძო საკუთრებაში მითითებული ტერიტორიის გადაცემით სერიოზული სიძნელეები შეექმნებათ კანალიზაციის გაწმენდის ან სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს. აპელანტების მოსაზრებით, სასამართლო ვალდებული იყო, თავისი ინიციატივით გაერკვია, რამდენად დასაშვები იყო მითითებული სახელმწიფო ტერიტორიის კერძო პირისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 თებერვლის განჩინებით მ. და თ. ნ-უების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. და თ. ნ-უებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით მ. და თ. ნ-უების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. და თ. ნ-უების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება ა. ნ-უას მიწის ნაკვეთის საზღვრის გ. ნ-უას საცხოვრებელი სახლიდან 80 სმ-ის დაშორებით ბინათმშენებლობის პროექტის მიხედვით გ. ნ-უას სახელზე მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმის შედგენის შესახებ ოზურგეთის რაიონული გამგეობის არქიტექტურის სამსახურის და არქიტექტურული სამსახურის მიერ შედგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით გ. ნ-უას სახელზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარების დავალდებულების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა გ. ნ-უას სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან მახარამის მშრომელთა დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 1958 წელს გ. ნ-უამ თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან 300 კვ.მ დაუთმო თავის შვილს - ა. ნ-უას საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მას ფაქტობრივად დარჩა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ოზურგეთის რაიონული სასამართლო გასცდა რ. პ-მე-ნ-უას სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს ოზურგეთის არქიტექტურის სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. და თ. ნ-უებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო შემდეგი მოტივით:

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" პუნქტების შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო სასამართლოს მითითებები და გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი - 1965 წელს გ. ნ-უას სახელზე გახსნილი საადრიცხო ბარათი, რომლის თანახმად, გ. ნ-უას სახელზე თავდაპირველად დაფიქსირებული იყო 889 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც გადასწორდა 989 კვ.მ-ად, ხოლო შემდეგ დაზუსტდა 600 კვ.მ-ით. ბარათში შეტანილი ცვლილება დადასტურებულია 1986 წლის 17 აპრილის ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის -86 გადაწყვეტილებით, რაც მითითებულია ბარათის ზედა მარჯვენა კუთხეზე. აღნიშნული ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ 1986 წლის 17 აპრილის მდგომარეობით გ. ნ-უაზე ირიცხებოდა 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 1986 წლის 18 ივნისს, ბარათში ცვლილების შეტანიდან ზუსტად 2 თვის შემდეგ, როდესაც მახარამის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა გ. ნ-უას განცხადება საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ნებართვის მისაღებად, მან ნებართვა მიიღო ამ დროისათვის მის სარგებლობაში არსებულ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და და არა 345 კვ.მ-ზე, როგორც ეს მიიჩნია დადგენილად სააპელაციო სასამართლომ.

კასატორების მითითებით, გ. ნ-უას 1958 წლის მდგომარეობით სარგებლობაში გააჩნდა 989 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც 300 კვ.მ გადასცა თავის შვილს - ა. ნ-უას, ხოლო 689 კვ.მ დარჩა მას, რადგან საადრიცხო ბარათი, რომელშიც დაფიქსირებულია გ. ნ-უას სახელზე 989 კვ.მ, შესწორებამდე შედგენილია 1965 წელს, ხოლო მან მიწა ა. ნ-უას გადასცა 1958 წელს, მაგრამ აღნიშნული აისახა 1986 წლის 18 ივნისს და დაზუსტდა მის სახელზე გახსნილ საადრიცხო ბარათში.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, მის მიერ არ იქნა შეფასებული მითითებული მტკიცებულება, რამაც გამოიწვია საქმეზე

არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ასევე სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საჯარო რეესტრის წერილით. ასევე სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით მ. და თ. ნ-უების საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად (პროცესუალური კასაცია).

საკასაციო სასამართლოს მთათარ სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. და თ. ნ-უების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 394-ე მუხლის "ე" პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს წინამდებარე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ იხელმძღვანელა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინებაში ჩამოყალიბებული მითითებებით, რაც სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად სავალდებულო იყო სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისა და მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა მტკიცებულება-თა მოპოვება და დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად საქმე ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითად ხელახლა განხილვას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ გ. ნ-უას სახელზე ირიცხებოდა 600 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, საიდანაც 1958 წელს 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დაუთმო თავის შვილს - ა. ნ-უას, რის შედეგადაც გ. ნ-უას ფაქტობრივად დარჩა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მახარადის მშრომელთა დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1958 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, მართალია, დასტურდება, რომ გ. ნ-უას მიწის ნაკვეთიდან გამოეყო სამოსახლო მიწის ნაკვეთი 300 კვ.მ-ის ოდენობით, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დგინდება რა ოდენობის მიწის ნაკვეთს ფლობდა გ. ნ-უა თავდაპირველად - ა. ნ-უასათვის 300 კვ.მ ნაკვეთის გადაცემამდე. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ გ. ნ-უას, მიწის ნაკვეთის შვილისათვის დათმობის შემდეგ დარჩა 345 კვ.მ, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა იმგვარი დასკვნის გაკეთებას, რომ იგი თავდაპირველად ფლობდა მხოლოდ 600 კვ.მ-ს, არ დასტურდება ქ. მახარადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 18 ივნისის სხდომის -137 გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით გ. ნ-უას ნება დაერთო განეხორციელებინა ძველი დამალილი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ახალი სახლის მშენებლობა, მასში არ არის მითითებული, რა ოდენობის მიწის ნაკვეთი ერიცხებოდა გ. ნ-უას. ამდენად, გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიჩნია დადგენილად სააპელაციო სასამართლომ, რომ გ. ნ-უა 1986 წელს ითხოვდა მშენებლობის განხორციელებას ფაქტობრივად მის საკუთრებაში არსებულ 345 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გ. ნ-უას თავდაპირველად ერიცხებოდა 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი და სათანადო მტკიცებულებების არსებობის გარეშე მივიდა ამგვარ დასკვნამდე.

სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს მითითების მიუხედავად, აღნიშნული გარემოებების დადგენის მიზნით, არ გამოიკვლია მტკიცებულებები, არ ისარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებებით.

ასევე საკასაციო სასამართლოს მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და სათანადო შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 6 თებერვლის -55/22-62 წერილში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, აღნიშნული წერილის თანახმად, გ. ნ-უას სახელზე სააღრიცხვო ბარათი გაიხსნა 1965 წლის 5 ოქტომბერს, მიწის ნაკვეთი თავდაპირველად დატანილი იყო 889 კვ.მ, რომელიც შემდგომ შესწორდა 989 კვ.მ-ად, ხოლო შემდგომ - 600 კვ.მ-ად. ამავე წერილის თანახმად, ბარათში შეტანილი მონაცემები დამტკიცდა ქ. ოზურგეთის ადმსრულებელი კომიტეტის 1986 წლის 17 აპრილის -86 გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს, ფლობდა თუ არა გ. ნ-უა ა. ნ-უასათვის ნაკვეთის დათმობამდე 989 კვ.მ მიწის ნაკვეთს და, შესაბამისად, 300 კვ.მ მიწის დათმობის შემდეგ დარჩა თუ არა რეალურად 600 კვ.მ, როგორც დაფიქსირებულია სადავო საკუთრების მოწმობაში და შესაბამისად, არსებობს თუ არა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი წერილის თანახმად, გ. ნ-უას ნაკვეთი 989 კვ.მ დაფიქსირებული იყო 1965 წელს და 1986 წლისათვის შემცირდა 600 კვ.მ-მდე ანუ თავდაპირველად არ ფლობდა 989 კვ.მ-ს და წერილის თანახმად ეს ოდენობა დაუფიქსირდა 1965 წელს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებიდან, რადგან ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის წერილიდან ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება, რომ ნაკვეთის ოდენობის 989 კვ.მ-დან 600 კვ.მ-მდე შემცირდა 1986 წელს. წერილში მითითებულია მხოლოდ ნაკვეთის ოდენობის გადაკეთების ფაქტზე, მაგრამ რა პერიოდში მოხდა აღნიშნული ცვლილება, არ დგინდება. წერილის თანახმად, გ. ნ-უას სააღრიცხვო ბარათში შეტანილი მონაცემები დამტკიცდა 1986 წლის 17 აპრილის -86 გადაწყვეტილებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს, გ. ნ-უა რა ოდენობის მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა თავდაპირველად, საჭიროების შემთხვევაში საქმეზე დანიშნოს ექსპერტიზა მიწის ნაკვეთების ზომების დადგენის მიზნით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კასატორების მიერ წამოყენებულ დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასწორად დადგენის შესახებ და საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას მხოლოდ სათანადო მტკიცებულების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორების მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე და სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და თ. ნ-უების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტკიცებულებათა შეგროვება სასამართლოს მიერ, სრულყოფილი გამოკვლევა და განხილვა

განჩინება

-ბს-1076-1029(კ-07)

28 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურისა და ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

ლ. ს-უამ სარჩელი აღძრა მარტვილის რაიონულ სასამართლოში მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა, განაცდურისა და ზიანის ანაზღაურება

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე ლ. ს-უა 1993 წლის აპრილიდან 2004 წლის აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიონული განყოფილების უფროსად, ხოლო 2004 წლის აგვისტოდან - ამავე განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად. მოსარჩელე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელემ 20.03.07წ. განცხადებით მიმართა გამგეობას სამსახურში აღდგენის შესახებ, რაზეც მიიღო უარი. მოსარჩელის აზრით, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა იყო მარტვილის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის სამართალმემკვიდრე, რომელიც აგრძელებდა მუშაობას, მით უფრო, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის -5/3 დადგენილებით დამტკიცებული, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალ სამტატო სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო სპეციალისტი ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში, რომლის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილება, სადაც მოსარჩელე მუშაობდა უფროს სპეციალისტად.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელე ლ. ს-უას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ოფიციალური გაფრთხილება არ მიუღია და არც გათავისუფლების ბრძანება ჩაჰბარებია. მან ზემოაღნიშნული ბრძანების ასლი მიიღო 2007 წლის 19 აპრილს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

მოპასუხის მიერ დაირღვა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96.1 მუხლი, რომლის მიხედვით, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, ხოლო დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. კონკრეტულ შემთხვევაში, გამგეობას მუშაობა არ შეუწყვეტია და არც შტატები შეუმცირებია. ამავე კანონის 97.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას, რაც არ მოხდარა, რადგან დამტკიცებულ სტრუქტურაში სამტატო ერთეული და სპეციალისტი გათვალისწინებული იყო.

მოპასუხეს წერილობითი ფორმით შესაგებელი არ წარუდგენია.

სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული, მარტვილის სახელმწიფო აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების დებულების თანახმად, მოსარჩელე სამუშაოზე დანიშნული იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ, რის თაობაზეც მან სასამართლოს წარუდგინა საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის 18.08.2004წ. -01/410 ბრძანება და აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელს არ ჰქონდა მისი სამუშაოდან გათავისუფლების უფლება, ვინაიდან ასეთი ბრძანება უნდა გამოეცა ეკონომიკის სამინისტროს.

მოპასუხე - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 1 ოქტომბრის -01-03/1-/36 წერილით რაიონის გამგეობებს დაევალიათ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების, მოსამსახურეების დაკავებული

თანამდებობიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს ეცნობა აღნიშნულის თაობაზე, მაგრამ მან წერილის ჩაბარებაზე უარი განაცხადა.

2006 წლის 10 ნოემბრის "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან, ამავე კანონის 65¹ მუხლის საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა აღნიშნული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეულები, ანუ მოხდა მარტვილის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ლიკვიდაცია.

მოპასუხის მითითებით, ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილება იყო ორმაგ დაქვემდებარებაში როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ისე მარტვილის ადგილობრივი მართვის გამგეობასთან, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1.06.2004წ. -1-1/120 ბრძანებით დამტკიცებული, მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების დებულების თანახმად, ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, ასევე, მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრი. ამასთან, მარტვილის გამგეობის საჯარო თანამდებობის საშტატო განრიგში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს -726 ბრძანებულების შესაბამისად გათვალისწინებული იყო ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახური 2 საშტატო ერთეულით, მათ შორის უმცროს საჯარო თანამდებობაზე ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების მთავარ სპეციალისტად დაინიშნა ლ. ს-უა, რომელიც ხელფასს იღებდა სწორედ ამ ბრძანების საფუძველზე.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ს-უას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ლ. ს-უა 2004 წლის აგვისტოდან მუშაობდა მარტვილის ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს სპეციალისტად. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის -14 ბრძანების - მარტვილის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის ლიკვიდაციისა და თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მე-20 პუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა სამუშაოდან. ასევე დადგინდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 1 ოქტომბრის -01-03/10/36 წერილის საფუძველზე რაიონის გამგეობებს დაევალით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეების დაკავებული თანამდებობიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილება. მოსარჩელე მარტვილის რაიონის გამგებლის წერილით ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე გაფრთხილებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ, რაზეც მოსარჩელემ ხელი არ მოაწერა.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის საფუძველზე, კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულ იქნა ამ კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეულები, მათ შორის, მარტვილის რაიონის გამგეობაც. შემდგომში, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის -5/3 დადგენილებით მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო სტრუქტურის დამტკიცება, რის საფუძველზეც ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეები, მათ შორის ლ. ს-უა, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგინდა მიიჩნია, რომ მარტვილის ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილება იყო ორმაგ დაქვემდებარებაში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების დებულების თანახმად, ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, ასევე, მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრი. ამასთან, მარტვილის გამგეობის საჯარო თანამდებობის საშტატო განრიგში, რომელიც დამტკიცდა რაიონის გამგეობის 2005 წლის 30 აგვისტოს -20 გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს -726 ბრძანებულების შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახური. აღნიშნული სამსახური იყო ორმაგ დაქვემდებარებაში, როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ისე მარტვილის ადგილობრივი მმართველობის გამგეობასთან. ამდენად, მუნიციპალიტეტის გამგებელს უფლება ჰქონდა, გამოეცა ბრძანება მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 2006 წლის 10 ნოემბრის საქართველოს კანონის ამოქმედების შესახებ დამტკიცდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალი სტრუქტურა და საშტატო განრიგი, სადაც გათვალისწინებულ იქნა ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში ერთი საშტატო ერთეული. მარტვილის სახელმწიფო ქონების აღ-

რიცხვისა და პრივატიზების განყოფილება გაუქმდა და დაექვემდებარა ქ. ფოთის რეგიონულ სამსახურს. მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალ სტრუქტურაში ამ ხაზით გათვალისწინებულ იქნა სპეციალისტი ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში, რაც არ წარმოადგენდა ძველი სტრუქტურით განსაზღვრული სახელწოდების იდენტურს. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლით ახალი საშტატო განრიგით მანამდე არსებული თანამდებობის და აღნიშნული თანამდებობის შესაბამისი ფუნქციების მქონე სხვა თანამდებობის გათვალისწინება ნიშნავდა არა მანამდე არსებული თანამდებობის კვლავ შენარჩუნებას, არამედ შესაბამისი ფუნქციების მქონე ახალი თანამდებობის შემოღებას, ანუ ძველი და ახალი თანამდებობების იგივეობა არ გულისხმობდა ზემოაღნიშნული თანამდებობების იდენტურობას.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96.1 მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, სამსახურიდან მოხელის გათავისუფლება დასაშვებია იყო დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში, რაც წარმოადგენდა სტრუქტურულ ცვლილებას, რომლითაც დაწესებულება, როგორც სუბიექტი, წყვეტდა საქმიანობას. ამავე კანონის 97.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა როგორც დაწესებულების ლიკვიდაცია, ასევე - შტატების შემცირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ლ. ს-უას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მიღებული იყო სწორად, კანონმდებლობის დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-უამ, რომელმაც მოითხოვა მარტვილის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით:

აპელანტის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 12 ივნისის -01/01-01/85 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილება იმყოფებოდა სამინისტროს დაქვემდებარებაში. აღნიშნული ანალოგიურად იყო გათვალისწინებული 2002 წელს დამტკიცებული დებულებითაც. მიუხედავად სამინისტროს არაერთგზის რეორგანიზაციის თუ ლიკვიდაციისა, მოსარჩელე არასოდეს დანიშნულა და გათავისუფლებულა მარტვილის გამგეობის მიერ.

აპელანტის აზრით, გამგეობის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს სხდომაზე წარმოდგენილი, ყოფილი გამგებლის უკანონო -176 ბრძანება მოსარჩელის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს სპეციალისტად დანიშვნის შესახებ, როცა იგი უკვე 18.08.2000წ. -01/03-01/410 ბრძანებით დანიშნული იყო სამინისტროს მიერ, მისთვის უცნობი იყო, რატომ დაიწერა ან აღნიშნული ბრძანება რატომ გამოიყენა მოსამართლემ აპელანტის წინააღმდეგ. ასევე გაურკვეველი იყო, რას დაეყრდნო სასამართლო, როცა დადგენილად მიიჩნია მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების ორმაგ დაქვემდებარებაში ყოფნა, რაც არც ერთ კანონქვემდებარე აქტში არ იყო აღნიშნული. ამდენად, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული 2007 წლის 16 თებერვლის -14 ბრძანება წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რამდენადაც ზაკ-ის 60.1. "ა" მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ლ. ს-უას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის -14 ბრძანებით მარტვილის რაიონის გამგეობის ლიკვიდაციისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის -5/3 დადგენილების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო სტრუქტურის დამტკიცებასთან დაკავშირებით სამუშაოდან გათავისუფლდა უფროსი სპეციალისტი ლ. ს-უა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2004 წლის 18 აგვისტოს ბრძანებითა და საშტატო განრიგით დასტურდებოდა, რომ ლ. ს-უა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 24.1 მუხლის საფუძველზე, 1 თვის გამოსაცდელი ვადით დანიშნა განყოფილების უფროსის მოადგილედ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტაცია, რომ განყოფილების უფროსის მოადგილედ მისი დანიშვნა ნიშ-

ნავდა მთავარ სპეციალისტად დანიშვნას, რადგან აღნიშნული საშტატო განრიგით მთავარი სპეციალისტის შტატი საერთოდ არ დამტკიცებულა და ლ. ს-უა, მოგვიანებით, 2005 წლის 20 სექტემბერს, დაინიშნა მარტვილის რაიონის გამგეობის უმცროს საჯარო თანამდებობაზე. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ლ. ს-უა განყოფილების უფროსის მოადგილედ, იგივე მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2004 წლის 1 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოს დებულების მე-4 მუხლით ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს, ასევე, მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრი.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს იმ პირის ან დაწესებულების მიერ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება ჰქონდა. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლით, პირი, რომელიც მუშაობდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოში, იყო საჯარო მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის სტატუსი; სამუშაოზე მიღებისა და მუშაობის პირობები განისაზღვრებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით. აპელანტი ლ. ს-უა, მისი სამუშაოზე დანიშვნის დროისთვის, მოქმედი წესის დაცვით დანიშნულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. ამდენად, იგი წარმოადგენდა მარტვილის რაიონის გამგეობაში დასაქმებულ პირს. იყო გამგეობის ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილის - ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსი სპეციალისტი, რომელიც მარტვილის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის 2005 წლის 20 სექტემბრის -176 ბრძანებით დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. მისი სახელფასო განაკვეთი დამტკიცებული იყო რაიონის გამგეობის მიერ, შესაბამისად, შრომის ანაზღაურებას ახდენდა გამგეობა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გადათავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39.4. "გ" მუხლის თანახმად, გამგებელი (მერი) თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებსა და გამგეობის სხვა თანამშრომლებს. ამავე კანონის 65¹ მუხლით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონის ამოქმედების დღიდან, ლიკვიდირებულ იქნა "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული. იმავე მუხლით განისაზღვრა სალიკვიდაციო სამუშაოების წარმართვის წესი და ვადა.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 108.1 მუხლის თანახმად, მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატების შემცირების, ატესტაციის არადაამკამყოფილებელი შედეგის ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ არ უარყო, რომ მას მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ეცნობა, მაგრამ გაფრთხილების ხელწერილს ხელი არ მოაწერა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ლ. ს-უას სამუშაოდან გათავისუფლება მოხდა სამსახურის ლიკვიდაციის გამო, რის თაობაზეც მოხელეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. ამდენად, სადავო ბრძანება გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. აქედან გამომდინარე, აპელანტის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში უსაფუძველო იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-უამ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სასამართლომ განჩინების მიღებისას არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 12 ივნისის -01/01-01/85 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილება იმყოფებოდა სამინისტროს დაქვემდებარებაში. აღნიშნული ანალოგიურად იყო გათვალისწინებული 2002 წელს დამტკიცებული დებულებითაც. მიუხედავად სამინისტროს არაერთგზის რეორგანიზაციის თუ ლიკვიდაციისა, მოსარჩელე არასოდეს დანიშნულა და გათავისუფლებულა მარტვილის გამგეობის მიერ.

კასატორის მოსაზრებით, გამგეობის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს სხდომაზე წარდგენილი, ყოფილი გამგებლის უკანონო -176 ბრძანება მოსარჩელის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს სპეციალისტად დანიშვნის შესახებ, როცა იგი უკვე 18.08.2000წ. -01/03-01/410 ბრძანებით დანიშნული იყო სამინისტროს მიერ, მისთვის უცნობი იყო, რატომ დაიწერა ან აღნიშნული ბრძანება, რატომ გამოიყენა მოსამართლემ აპელანტის წინააღმდეგ. ასევე გაურკვეველია, რას დაეყრდნო სასამართლო, როცა დადგენილად მიიჩნია მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების ორმაგ დაქვემდებარებაში ყოფნა, რაც არც ერთ კანონქვემდებარე აქტში არის აღნიშნული. ამდენად, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული 2007 წლის 16 თებერვლის -14 ბრძანება წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რამდენადაც ზაკის 60.1 "ა" მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა - კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლ. ს-უას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2. და 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, სწორად არ გამოიკვლია საქმის მასალები და დადგენილი ფაქტები და საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო წინააღმდეგობრივად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას, რომელმაც დადგენილად მიიჩნია მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების ორმაგ დაქვემდებარებაში ყოფნის ფაქტი, აღნიშნული დასკვნების მართებულობა არ შეუფასებია სასამართლოს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განჩინება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ და ამავდროულად, ჩამოყალიბებულია სრულიად განსხვავებული სამართლებრივი დასკვნები, რომელიც არ ჰპოვებს დადასტურებას საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებულ იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში იმავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან - დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" და "ვ" ქვეპუნქტებში მითითებულია, თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამ-

გვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომ-მა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გაა-ქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2004 წლის ბრძანებით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მარტვილის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ 1.1 მუხლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოები იმყოფება სამინისტროს დაქვემდებარებაში. დებულების 1.2 მუხლის თანახმად, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები საქმიანობას ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

დებულების 1.3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები ახორციელებენ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარებისა და სამინისტროსაგან დელეგირებული სახელმწიფო ქონების ფლობას, სარგებლობას და განკარგვას. დებულების 4.1 მუხლით განისაზღვრა, რომ ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, ასევე, მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი.

საქმის მასალების თანახმად ლ. ს-უა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2004 წლის 18 აგვისტოს ბრძანებით "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 24.1 მუხლის საფუძველზე, 1 თვის გამოსაცდელი ვადით დაინიშნა განყოფილების უფროსის მოადგილედ. 2005 წლის 20 სექტემბერს ლ. ს-უა დაინიშნა მარტვილის რაიონის გამგეობის უმცროს საჯარო თანამდებობაზე, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის 16 თებერვლის -14 ბრძანებით, მარტვილის რაიონის გამგეობის ლიკვიდაციისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის -5/3 დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო სტრუქტურის დამტკიცებასთან დაკავშირებით, სამუშაოდან გაათავისუფლდა ლ. ს-უა როგორც უფროსი სპეციალისტი.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 93-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ უხეშად არის დარღვეული მოქმედი საპროცესო სამართლის - სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევიან საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვეს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე მოიპოვოს მტკიცებულებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოითხოვოს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა, რათა დადგინდეს, ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო იმყოფებოდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ, თუ ის როგორც სტრუქტურული ერთეული შედიოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაში, გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა ეკონომიკის მინისტრის ბრძანება ლ. ს-უას განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ, რამდენადაც აღნიშნული ბრძანება საქმის მასალებში არ მოიპოვება. აღნიშნული მტკიცებულების მოპოვების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს, იყო თუ არა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილი, გაეთავისუფლებინა ლ. ს-უა დაკავებული თანამდებობიდან.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ლ. ს-უა მოგვიანებით, კერძოდ, 2005 წლის 20 სექტემბერს დაინიშნა მარტვილის რაიონის გამგეობის უმცროს საჯარო თანამდებობაზე, თუმცა, კასატორის განმარტებით, მისთვის აღნიშნული ბრძანების არსებობა უცნობი იყო, ხოლო ის ფაქტი, რომ ლ. ს-უას ჩაჰბარდა მისი დანიშვნის შესახებ ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესით, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის სასამართლო სხდომაზე კასატორმა ლ. ს-უამ შეცვალა სარჩელის საფუძველი და მიუთითა, რომ მისი სამსახურიდან გაათავისუფლება უნდა მომხდარიყო ეკონომიკის სამინისტროს

მიერ, რასაც შესაბამისი საპროცესო მოქმედებები არ მოჰყოლია არც რაიონული სასამართლოს მიერ და რასაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ მოჰყოლია შეფასება და მსჯელობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი/დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან - სარჩელის საგნი-სა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია სადავო სამართალურთიერთობა, მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესა-ბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა ამ მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, ორი ელემენტისაგან შედგება - სა-მართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან. ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სა-მართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83.2. მუხლით განსაზღვრულია სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლის წესი, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია საქმის წინასწარი, სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი (ერთ-ერთი და არა ორივე ერთად, რამდენადაც სარჩელის საგნის და საფუძვლის ერთდროული შეცვლა, ფაქტობრივად თავდაპირველ სარჩელზე უარის თქმა და ახალი სარჩელის შეტანა), გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესა-ხებაც სასამართლო ვალდებულია, აცნობოს მოპასუხეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83.4. მუხლის თანახმად, საქმის წინასწარი განხილვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83.3 მუხლით იმ-პერატიულად არის დადგენილი, რომ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თან-ხმობით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, რადგან სასამართლოს არ გამოუკვლევია მო-სარჩელის მიერ განხორციელებული საპროცესო უფლების რეალიზაციის წინაპირობა და მოპასუხის სამართლებრივი პოზიცია, აღნიშნულს სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სათანადო სამართლებ-რივი შეფასება.

2006 წლის "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39.4. "გ" მუხლის თანახმად, გამგებელი (მერი) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებსა და გამგეობის სხვა თანამშრომლებს. ამავე კანონის 65¹ მუხლით "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონის ამოქმედების დღიდან, ლიკვიდირებულ იქნა "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვით-მმართველობის ერთეული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებუ-ლი უფლებამოსილებით, კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, შეფასება მისცეს მათ და გამოარკვიოს, უფლებამოსილი იყო თუ არა 2005 წლის 20 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა, დაენიშნა ლ. ს-უა მარტვილის რა-იონის გამგეობის უმცროს საჯარო თანამდებობაზე, როგორც მის დაქვემდებარებაში მყოფ საშტატო ერთეულზე, ასევე, გაეთავისუფლებინა ამავე თანამდებობიდან. კერძოდ, სააპელაციო სასამარ-თლომ უნდა გამოითხოვოს 2005 წლის მდგომარეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა, რათა სარწმუნოდ დადგინდეს, ლ. ს-უას მიერ დაკავებული საშტატო ერთეული, შედიოდა თუ არა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაში, იყო თუ არა ეს უკანასკნელი უფლებამოსილი, გაეთავისუფლებინა კასატორი დაკავებული თანამდებობიდან, რო-გორც მის დაქვემდებარებაში მყოფი საშტატო ერთეულიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხ-ლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძვლები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტი-ლების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-უას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური განხილვა

განჩინება

-ბს-765-734(კ-08) 20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, ხელშეკრულების გაუქმება და სადავო ფართზე მესაკუთრედ ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

რ. ქ-მემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და საქმის წარმოების განახლება, შემდეგი მოტივით:

განმცხადებლის მითითებით, 1986 წლიდან მუშაობდა რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის დაჯგუფების ქ. ბათუმის საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილებაში მძღოლად. 1990 წლის 5 თებერვალს სამსახურიდან მიიღო საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ... ქ. -8-ში. 1990 წლის 18 ივლისს, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის -607 გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, ...ქ. -8-ში მდებარე ბინის პირველ სართულზე 118,1 კვ.მ იჯარით გამოეყო საქართველოს მონარქისტული პარტიის აჭარა-გურიის სადროშოს და აღნიშნულ ფართში შეტანილ იქნა მისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ბინა ფართით - 20 კვ.მ ამავე გადაწყვეტილებით აღმასკომის საბინაო განყოფილებას დაევალა მისი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავალება არ შეასრულა. 2000 წლის 31 აგვისტოს, ქ. ბათუმის მერიამ -203 დადგენილებით, მითითებული ბინა იჯარით გადასცა ქ. ბათუმის პონტოელ ბერძენთა საზოგადოებას. რ. ქ-მემ სარჩელი აღძრა ქ. ბათუმის მერიისა და პონტოელ ბერძენთა საზოგადოების მიმართ და მოითხოვა 2000 წლის -203 დადგენილების გაუქმება და მერიის შესაბამისი სამსახურის დავალდებულება, რათა იგი გაეტარებინათ სამართლებრივ რეგისტრაციაში, როგორც დასახელებული უძრავი ქონების მესაკუთრე. 2005 წლის 5 აპრილს სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ორდერში მითითებული ბინა მიაკუთვნა მას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით და იგი განიხილა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ, რომელმაც 2005 წლის 25 ივნისს გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ქ-მეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 მარტის განჩინებით რ. ქ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და შევიდა კანონიერ ძალაში.

განმცხადებლის განმარტებით, აჭარის ა/რ უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების დროს გააყალბა მტკიცებულებები და არასრულად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული

1989 წლის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის -355 გადაწყვეტილება, მაშინ, როცა აღნიშნული მტკიცებულების გამოკვლევის პროცესში სასამართლო მიიღებდა სულ სხვა გადაწყვეტილებას, ვიდრე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის განჩინებით რ. ქ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განუხილველად იქნა დატოვებული განცხადების განხილვისათვის დასაშვებობის პროცესის არარსებობის გამო.

საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ქ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით რ. ქ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა - გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით პონტოელ ბერძენთა საზოგადოებისა და ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - რ. ქ-ძე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, ... ქ. -8-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ასასვლელი კიბის პირდაპირ მდებარე 20 კვ.მ-ის ერთი ოთახის მოსარგებლედ, ხოლო აღნიშნულ მისამართზე არსებული "სველი წერტილები" დარჩა საერთო სარგებლობაში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

1990 წლის 5 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბათუმის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილების მიერ რ. ქ-ძეზე გაიცა -1315 ორდერი 20 კვ.მ-ის ერთი ოთახისაგან შემდგარ ბინაზე - მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. -20-ში. მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ ვერ შეძლო აღნიშნულ ბინაში ცხოვრება, ვინაიდან ეს ფართი დაკავებული იყო ჯერ მონარქისტული პარტიის, შემდეგ კი პონტოელ ბერძენთა საზოგადოების მიერ, რომელთანაც ქ. ბათუმის მერიას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. ასევე დადგენილი იყო, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი სამხედრო უწყების ბალანსიდან გადავიდა ბათუმის აღმასკომის ბალანსზე, მაგრამ საქმეში არ მოიპოვებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უძრავი ქონების გადაცემის ერთ-ერთი და უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტია. ასევე, როდესაც რ. ქ-ძეზე გაიცა ორდერი, სადავო ფართზე საცხოვრებელი სახლი ირიცხებოდა სამხედრო უწყების ბალანსზე და რომ ორდერის გაცემის შემდეგ პერიოდში ქ. ბათუმის აღმასკომის ბალანსზე გადაეცა. საქმეში არ მოიპოვებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადგინდებოდა, უძრავი ქონების მოცემული სახით ერთი უწყებიდან მეორე უწყებაზე ბალანსიდან ბალანსზე გადასვლა. ასევე, არ მოიპოვებოდა 1989-90 წლების ბათუმის აღმასკომის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების და შენობა-ნაგებობების აღრიცხვის ყოველთვიური, ყოველკვარტალური და ყოველწლიური ჟურნალები, რომლის თანახმად, სასამართლოს შეეძლო ემსჯელა, თუ როდის გადაეცა სადავო სახლი სამხედრო უწყებიდან აღმასკომს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის გაშვებას მოსარჩელის მხრიდან, საქმეში მოიპოვებოდა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ 1990 წლიდან ის მმართველად სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს წერილით, შეესახლებინათ მისთვის გამოყოფილ ფართში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საბინაო ორდერი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აკმაყოფილებდა ზაკ-ის 51-ე და 52-ე მუხლების მოთხოვნებს, იგი გამოცემული იყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ და არ იყო გაუქმებული.

სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელმა I ინსტანციის სასამართლოში შეთავაზა რ. ქ-ძე დათანხმებულიყო იმავე მისამართზე შენობის სხვა ნაწილში 20 კვ.მ-ის მიღებაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით მოხდა ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მიერ რ. ქ-ძის მოთხოვნის აღიარება. რაც შეეხებოდა ბათუმის მერიასა და პონტოელ ბერძენთა საზოგადოებას შორის დადებულ ხელშეკრულებას 118.1 კვ.მ-ზე, ვინაიდან მოსარჩელე მხარემ სხდომაზე მოხსნა იჯარის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ ამ 118.1 კვ.მ-ში არ შედიოდა რ. ქ-ძისთვის ორდერით გამოყოფილი ფართი, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საიჯარო ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის - პონტოელ ბერძენთა საზოგადოების წარმომადგენელმა, მოხსნა შეგებებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნები, რის გამოც სასამართლომ არ განიხილა ისინი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, კერძოდ, არასწორად შეაფასა 1989 წლის 14 ივნისის -355 გადაწყვეტილება. 1990 წლის 5 თებერვლისთვის, მაშინ, როცა რ. ქ-მეზე ამიერკავკასიის დაჯგუფების საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილების მიერ გაიცა -1315 ორდერი ქ. ბათუმში, ... ქ. -8-ში მდებარე საცხოვრებელ ფართში 20 კვ.მ-ის ერთ ოთახზე, იგი ჯერ კიდევ 1989 წლის 14 ივნისის -355 გადაწყვეტილებით გადაცემული იყო ქ. ბათუმის მერიაზე, მაშინდელი სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი. ამდენად, იმ დროისათვის, როცა რ. ქ-მეზე გაიცა ორდერი, ფართის მესაკუთრეს აღარ წარმოადგენდა ამიერკავკასიის დაჯგუფების საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილება და იგი სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბალანსზე ირიცხებოდა. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რ. ქ-მეზე ორდერი გაიცა 1990 წელს და, შესაბამისად, მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1990 წლიდან, მას კი 2005 წლამდე არც ერთ კომპეტენტური ორგანოსათვის პრეტენზიით არ მიუმართავს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის 6 წლიანი ვადა, უფრო მეტიც, მოსარჩელეს სსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადაც კი გაშვებული აქვს.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "გ" პუნქტის საფუძველზე (პროცესუალური კასაცია).

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში მოწინააღმდეგე მხარე რ. ქ-მემ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტური და კანონიერია, სასამართლოს მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები და სწორად იქნა დადგენილი ფაქტები. სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხს, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, 1990 წლიდან ის მიმართავდა სხვადასხვა კომპეტენტურ ორგანოებს, რის გამოც სარჩელი არ არის ხანდაზმული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსკ-ის 407.2. მუხლის მიხედვით წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით სასამართლოს მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნება სავალდებულო საკასაციო სასამართლოსთვის, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ უხეშად არის დარღვეული მოქმედი საპროცესო სამართლის - სსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო სსკ-ის 404.1. მუხლის მიხედვით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ვინაიდან საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული არ არის საქმის წარმოების განახლების კანონიერების საკითხი, საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს საქმის წარმოების განახლების საფუძვლიანობას.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის ე¹) პუნქტის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას და დასკვნების გაკეთებისას, საერთოდ არ შეუფარდა სამართლის ნორმა სადავო სამართალურითობას.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია, რამდენადაც საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სრულფასოვნად არ გამოიკვლია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, რამდენადაც რ. ქ-მე ბინის ორდერის მიღების შემდეგ - 1990 წლიდან ცხოვრობდა სარდაფში, არ შესახლებულა ორდერით გადაცემულ ფართში, ანუ მოსარჩელეს საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის საფუძველზე სადავო ფართზე წარმოეშვა ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუმცა მას ამ უფლებით არ უსარგებლია და არც სასამართლო წესით არ მოუთხოვია აღნიშნული უფლების რეალიზაცია, საქმის მასალებით მითითებული არ დასტურდება. რ. ქ-მემ სადავო ფართზე უფლების დადასტურება სასამართლო წესით მოითხოვა 2004 წლის 30 სექტემბერს, სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელზე, რომლის უფლებაც დარღვეულია, განისაზღვრება სამი წლით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას არსებითად უნდა იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე, უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს მტკიცებულებები და დაადგინოს ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყების მომენტი /დრო/, რამდენადაც მხოლოდ ის გარემოება, რომ რ. ქ-მე 1990 წლიდან მიმართავდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს განცხადებებით, რათა შეესახლებინათ გამოყოფილ ფართში არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გამოსაკვლევად და დასადგენად.

საქმის მასალების თანახმად, ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით, პონტოელ ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოებას იჯარით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. -8-ში განთავსებული მუნიციპალური არასაცხოვრებელი 118 კვ.მ, რომელშიც შედის რ. ქ-მეზე ორდერით გადაცემული 20 კვ.მ ფართი, რასაც სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მიერ I ინსტანციის სასამართლოში შესთავაზეს რ. ქ-მეს მორიგების პირობა, რათა იგი დათანხმებულიყო იმავე მისამართზე შენობის სხვა ნაწილში 20 კვ.მ-ის მიღებაზე, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით მოხდა ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლის მიერ რ. ქ-მის მოთხოვნის აღიარება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება დაამთავრონ მორიგებით. სსსკ-ის 218-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. ამავე კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო იღებს ზომებს საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით. შესაბამისად, საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და მხარეებს შესთავაზოს პირობები დავის მორიგებით დასამთავრებლად, მით უფრო, იმ პირობებში, როცა საქმის მასალების თანახმად, ამგვარი ინციატივა ქ. ბათუმის მერიის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეთავაზებულ იქნა, რაც არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მორიგების შეთავაზებით აღიარა რ. ქ-მის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საქმის მასალებში მდებარე ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებლის კომიტეტის 1989 წლის 14 ივნისის -355 გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტის თანახმად, ნება დაერთო საბინაო-სარემონტო საწარმოო გაერთიანებას, აეყვანა ბალანსზე სამხედრო გარნიზონის ბათუმის რაიონის საბინაო საქსპლუატაციო ნაწილის საუწყებო საცხოვრებელი სახლი მდებარე ... ქ. -8-ში. 1990 წლის 18 ივლისს, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-

ტის -607 გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, ... ქ. -8-ში მდებარე ბინის პირველ სართულზე 118,1 კვ.მ იჯარით გამოეყო საქართველოს მონარქისტული პარტიის აჭარა-გურიის სადროშოს. ქ. ბათუმის მერიამ -203 დადგენილებით მითითებული ბინა იჯარით გადასცა ქ. ბათუმის პონტოელ ბერძენთა საზოგადოებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ ერთობლიობაში არ მიეცა შეფასება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, გამოტანილ იქნა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები, რითაც დარღვეულია სსსკ-ის 249.4. მუხლის იმპერატიული მოთხოვნა - გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების, მტკიცებულებების, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებების, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, მითითების სავალდებულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვეტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4, 372-ე, 390-ე, 393-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა

განჩინება

-ბს-1313-1272(კ-08) 30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაბე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 სექტემბერს ლ. ე-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანების საფუძველად მითითებული იყო მის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა, რასაც მოსარ-

ჩელე არ დაეთანხმა და განმარტა, რომ ხსენებული გარემოებები დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის სახელზე შედგენილ, 2007 წლის 11 ივლისის -02/5438 მოხსენებით ბარათში. ამდენად, მოსარჩელემ უსაფუძვლოდ მიიჩნია მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძვლად მითითებული გარემოება, ისევე, როგორც ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს უფროსის ზ. მ-შვილის 2007 წლის 12 ივლისის -02/5452 მოხსენებით ბარათში მოყვანილი ფაქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია ჩაება.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და სადავო ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ე-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ე-შვილმა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ე-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ე-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2007 წლის 16 ივლისისა და ამავე ინსპექციის საგადასახადო აუდიტის სამმართველოს უფროსის 2007 წლის 12 ივლისის მოხსენებით ბარათში დაყენებული საკითხის თაობაზე; ლ. ე-შვილს აუნაზღაურდა 2007 წლის 30 ივლისიდან ახალი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განადგურება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანების სამართლებრივი საფუძველი გახდა "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, რაც მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის გამო სამსახურიდან დათხოვნას ითვალისწინებდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი საკმარის, დასაბუთებულ საფუძველად მიიჩნია სადავო ბრძანების გამოცემისათვის, ხოლო აღნიშნული წერილის საფუძველზე გამოცემული ბრძანება ჩათვალა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებად. საგულისხმო იყო, რომ სადავო ბრძანების საფუძველად მითითებულ წერილში ინსპექციის უფროსი უთითებდა არა მოსარჩელის მიერ დისციპლინის უხეში დარღვევაზე, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი და უხეში დარღვევის შესახებ. თავის მხრივ, ასეთ დარღვევად შეფასდა ერთ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ინდივიდუალური მეწარმისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილის ოცი დღის განმავლობაში ჩაუბარებლობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - შპს-ს შემოწმების აქტის ერთი თვის შემდეგ წარმოდგენა, რომელიც არ იქნა სრულყოფილად მიჩნეული, ხოლო შემდეგ გაირკვა, რომ საწარმო ბრძანების გამოცემიდან ხუთ დღეში სხვაგან გადავიდა აღრიცხვაზე, ასევე მითითებულ იქნა სხვა გაუგებრობების არსებობაზეც.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები და არ იქნა დასაბუთებული დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტით, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებდა თავისუფლებას საჯარო და კერძო ინსტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან, შეერჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, დაედგინა ფაქტობრივი გარემოებები, დაესაბუთებინა მათი არსებობა, სამართლებრივი შეფასება მიეცა მათთვის და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება დისკრეციის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო დასაბუთებული, თუ რა წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ დისციპლინის უხეშ დარღვევას. არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი სამმართველოს უფროსის მოხსენებით ბარათში მითითებული კონკრეტული შემთხვევები, ჩაიდინა თუ არა მოსარჩელემ არამართლზომიერი მოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და გასაჩივრებული ბრძანება სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ყოფილიყო ცნობილი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის გამო, აღარ არსებობდა მოსარჩელისათვის მიუღებელი ხელფასის სახით ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, დანიშნვიდან გათავისუფლებამდე მიეღო ხელფასი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ ლ. ე-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი, რომლის დანართით დასტურდება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმების) სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე და 112-ე მუხლების თანახმად, რეალური შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა გადასახადის გადამხდელისაგან ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა. სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენა ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის დადგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის მოტივირებული წერილობითი მოთხოვნით, სადაც კონკრეტულად უნდა მითითებულიყო წარსადგენი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩამონათვალი და მათი წარდგენის ვადა. 2007 წლის 11 ივლისის -02/5438 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ი/მ "ა. ს-მისათვის" შემოწმების შესახებ ინფორმაცია მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა 2007 წლის 26-27 აპრილს, რის შემდეგაც, იმავე წლის 10 მაისს, საგადასახადო ინსპექციას ჩააბარა დღგ-ს დაზუსტებული დეკლარაცია, ხოლო იმავე წლის 18 მაისს ოფიციალურად ჩაიბარა შეტყობინება საგადასახადო შემოწმების შესახებ. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმების) სამმართველოს უფროსის 2007 წლის 12 ივლისის -02/5452 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ამავე სამმართველოს კამერალური განყოფილების ... ლ. ე-შვილმა ინდ. მეწარმის შემოწმების ბრძანებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ წერილის მიღების შემდეგ, ოცი დღის განმავლობაში ვერ უზრუნველყო აღნიშნული წერილის გადამხდელისათვის ჩაბარება, ხოლო ამ პერიოდში გადამხდელის მიერ წარმოდგენილი შესწორებული დეკლარაცია გათვალისწინებულ იქნა შემოწმებისას და შემცირდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა (მოსარჩელის ზეპირი განცხადებით). ამდენად, სახეზე იყო ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმების) სამმართველოს სოციალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების და დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანება გამოცემული იყო

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მისი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანებით ლ. ე-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილის საფუძველზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემიდან მისი სამსახურში აღდგენის ბრძანებამდე პერიოდში, იძულებით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ხელფასის ის ოდენობა, რაც განსაზღვრული იყო მოსარჩელის თანამდებობის ამავე ფუნქციების შესასრულებლად საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა ტოლფასი თანამდებობისთვის, რაც კასატორმა უკანონოდ მიიჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, მიღებულია სამართლის ნორმების დარღვევით, აგრეთვე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გარეშე, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა ლ. ე-შვილმაც, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანებით ლ. ე-შვილი გათავისუფლდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... თანამდებობიდან, სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის გამო. ხსენებული ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულ იქნა "შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი (სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა თუ პირის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის -170 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტები, რომლებიც ადგენდა შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ მოხელის გათავისუფლების ზოგად უფლებამოსილებას. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული იყო ასევე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის 2007 წლის 7 ივლისის -01/02-07/3516 წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს უფროსმა ზ. მ-შვილმა გ. კ-შვილს მიმართა მოხსენებითი ბარათით, სადაც მითითებული იყო ამავე სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და უხეში დარღვევის ფაქტებზე. აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ითხოვდა ლ. ე-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას. წერილს დანართის სახით ერთვოდა ზ. მ-შვილისა და ლ. ე-შვილის მოხსენებითი ბარათები. ამდენად, სწორედ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს უფროსის ზ. მ-შვილის წერილში მითითებული გარემოებები დაედო საფუძველად ლ. ე-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

კასატორი ნაწილობრივ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი საკმარის საფუძველად მიიჩნია სადავო ბრძანების გამოცემისათვის, ხოლო აღნიშნული წერილის საფუძველზე გამოცემული ბრძანება ჩათვალა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებად. სადავო ბრძანების საფუძველად მითითებულ წერილში, ინსპექციის უფროსი არ უთითებდა მოსარჩელის მიერ დისციპლინის უხეშ დარღვევასთან დაკავშირებით, არამედ მითითებულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი და უხეში დარღვევის შესახებ. თავის მხრივ, ასეთ დარღვევად შეფასდა ერთ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ინდივიდუალური მეწარმისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილის ოცი დღის განმავლობაში ჩაუბარებლობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - შპს-ს შემოწმების აქტის ერთი თვის შემდეგ წარმოდგენა, რომელიც არ იქნა სრულყოფილად მიჩნეული. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩი-

ვარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო - ბათილად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანება და შემოსავლების სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად მიეღო ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

კასატორი იზიარებს სააკელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სადავო ბრძანების სამართლებრივ შეფასებას, თუმცა მიიჩნევს შემდეგს: ვინაიდან სააკელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7, 53-ე და 96-ე მუხლების დარღვევით, მოცემული წარმოადგენდა სარჩელში აღძრული მოთხოვნების (მათ შორის სამსახურში აღდგენის თაობაზე) სრულად დაკმაყოფილების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრისა და 11 დეკემბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი და ლ. ე-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო და შეგებებული საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 15 იანვრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი და ლ. ე-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 19 მარტს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 30 ივლისის -6245-პ ბრძანებით "შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის -170 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტების თანახმად, შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილი, სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, 2007 წლის 30 ივლისს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ხსენებული ბრძანების საფუძველად მითითებული იყო ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილის თანახმად, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს უფროსმა ზ. მ-შვილმა მოხსენებითი ბარათით მიმართა ინსპექციის უფროსს, სადაც აღნიშნული იყო იმავე სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... - ლ. ე-შვილის სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და უხეში დარღვევის ფაქტები. ამასთან, დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსს ეთხოვა განეხილა აღნიშნული საკითხი და ლ. ე-შვილი გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის სახელზე შედგენილი, ამავე ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს უფროსის 2007 წლის 12 ივლისის -02/5452 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის სამმართველოს კამერალური განყოფილების ... ლ. ე-შვილის 2007 წლის 11 ივლისის (კანცელარიის -02/5438) მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით

მითითებული იყო, რომ აღნიშნულმა ინსპექტორმა ი/ს "ა. ს-მის" შემოწმების ბრძანებისა და გადამხდელისგან დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილის მიღების შემდეგ, ოცი დღის განმავლობაში ვერ უზრუნველყო დოკუმენტაციის მოთხოვნის წერილის გადამხდელზე ჩაბარება. ამასთან, ამ პერიოდში წერილი თვითონ ჰქონდა შენახული და არ უცდია გადამხდელისათვის გაეგზავნა ფოსტით ან მიემართა სამმართველოს ხელმძღვანელობისთვის დახმარების შესახებ. რაც შეეხება შპს "...", მან შემოწმების ბრძანების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ წარადგინა შემოწმების აქტი განყოფილების უფროსთან, რომელიც სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა მიჩნეული სრულყოფილად. ამასთან გაირკვა, რომ აღნიშნული საწარმო ბრძანების გამოწერიდან ხუთ დღეში აღრიცხვაზე გადავიდა ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციაში. შესაბამისად, შემოწმებელს ვერ ექნებოდა საწარმოს გადასახადების პირადი აღრიცხვის ბარათების დათვალიერებისა და სწორი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა. მსგავსი გაუგებრობები თან სდევდა ლ. ე-შვილის შესასრულებელ სხვა დავალებსაც (შპს "... აქტის დასკვნით დაზუსტება, სს "... 2007 წლის მარტში მოთხოვნილ დოკუმენტაციაზე დღემდე შეუსრულებლობა, თუ როგორც თვითონ განმარტავდა დავალების შესრულების შესახებ მოხსენებითი ბარათის დაკარგვა), რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ იგი ჯერონად ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის სახელზე შედგენილი იმავე ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის (შემოწმების) სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის 2007 წლის 11 ივლისის -02/5438 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც განმარტებულია, რომ ლ. ე-შვილმა 2007 წლის მაისში ი/მ "ა. ს-მესა" და შპს "... ჩაატარა დღგ-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით საგადასახადო შემოწმება. ლ. ე-შვილმა მეწარმეს შემოწმების შესახებ შეატყობინა დაახლოებით 2007 წლის 26-27 აპრილს (ხუთშაბათი-პარასკევი), რომელმაც უთხრა, რომ ორშაბათს მივიდოდა, მაგრამ არ მივიდა, ხოლო შეტყობინება მეწარმემ ჩაიბარა იმავე წლის 18 მაისს. შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ მას იმავე წლის 10 მაისს ჩაუბარებია დღგ-ს დაზუსტებული დეკლარაცია, რაზეც, ლ. ე-შვილის განმარტებით, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა, რადგან იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა კამერალური შემოწმების პერიოდში არ ზღუდავდა დაზუსტებული დეკლარაციის ჩაბარებას. რაც შეეხება საწარმოს, მას შეტყობინება ლ. ე-შვილმა 2007 წლის 25 აპრილს ჩააბარა, შემოწმების დღეს (1 მაისს) საწარმოს განცხადება დაუწერია ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციაში გადასვლასთან დაკავშირებით. ლ. ე-შვილმა განმარტა, რომ მან შემოწმება დაამთავრა დაახლოებით 2007 წლის 15-17 მაისს, ხოლო შემოწმების პერიოდში მისი პირადი აღრიცხვის ბარათები მათ ქსელში არ იყო. ყოველივე ამან, ლ. ე-შვილის განმარტებით, გამოიწვია ეჭვი ხელმძღვანელობაში, თუმცა აღნიშნული წარმოდგენდა მხოლოდ შემთხვევითობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ბრძანების სამართლებრივი საფუძველი გახდა "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, რომელიც მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის გამო, მის სამსახურიდან დათხოვნას ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი, რომლითაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისა და უხეში დარღვევის ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილი გათავისუფლდა სამსახურიდან "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც განსაზღვრავს მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და მის მიერ ლ. ე-შვილის მოქმედება შეფასდა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად და დისციპლინის უხეში დარღვევად, რის გამოც მიღებულ იქნა ზემოთ მითითებული, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ამოწმებს მხოლოდ გასაჩივრებული აქტის ფორმალურ-მატერიალურ კანონიერებას და ის არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა.

ამასთან საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის მიერ არ იქნა დასაბუთებული დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე დაავალა ადმინისტრაციული ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომ თვითონ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველად მითითებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის - გ. კ-შვილის 2007 წლის 16 ივლისის -01/02-07/3516 წერილი და არ გაითვალისწინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის სახელზე შედგენილ, ამავე ინსპექციის გადამხდელთა საგადასახადო აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს უფროსის 2007 წლის 12 ივლისის -02/5452 მოხსენებით ბარათსა და თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის გ. კ-შვილის სახელზე შედგენილ იმავე ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის (შემოწმებების) სამმართველოს კამერალური შემოწმების განყოფილების ... ლ. ე-შვილის 2007 წლის 11 ივლისის -02/5438 მოხსენებით ბარათში მითითებული ფაქტები. საკასაციო სასამართლო, შესაბამისად, ვერ გაიზიარებს შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის ლ. ე-შვილის მოსაზრებას, სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო საკითხის მის სასარგებლოდ არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტზე, კერძოდ, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი - სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ლ. ე-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ლ. ე-შვილის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების დედნის სახით წარმოდგენა

განჩინება

-ბს-936-900(კ-08)

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 27 თებერვალს თ. ხ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 7 დეკემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს მის საკუთრებაში არსებული ახალციხის რაიონის სოფ. ... მდებარე ავტოგასამართი სადგურისა და მასთან ერთად მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ. 2005 წლის 9 დეკემბერს მოსარჩელემ მიიღო უარყოფითი პასუხი იმ საფუძველით, რომ მის მიერ წარდგენილ საბუთებში არ იყო მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსარჩელემ 2006 წლის 13 თებერვალს წარადგინა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დედნის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის თანახმადაც თ. ხ-ძემ 1998 წლის 16 მარტს -649/189 ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გ. კ-ძისგან შეიძინა კოოპერატივი "...", რომელიც შედგებოდა დაუმთავრებელი ავტოგასამართი სადგურისა და საზღვების ობიექტისაგან, რომლის საერთო ფართობი იყო 64,60 კვ.მ, დამხმარე ფართი - 64,60 კვ.მ, შეფასებული 8187 ლარად. ნაგებობა განლაგებული იყო 382 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენდა 6600 კვ.მ-ს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურმა აღნიშნული ხელშეკრულება არასრულყოფილად მიიჩნია და უარი უთხრა თ. ხ-ძეს ქონების რეგისტრაციაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის ახალციხის რაიონის სოფელ ... მდებარე ავტოგასამართი სადგურისა და 2440 კვ.მ მიწის ნაკვეთის თ. ხ-ძის სახელზე რეგისტრაციის დავალდებულება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით მოსარჩელის მიერ შესყიდული ახალციხის რაიონის სოფ. ... მდებარე კოოპერატივ "...", რომელიც შედგებოდა დაუმთავრებელი ავტოგასამართი სადგურისა და 2440 კვ.მ მიწის ფართობისაგან, თ. ხ-ძის სახელზე რეგისტრაცია.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო, უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გაეტარებინა, თუ არსებობდა უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი საბუთი და საკადასტრო ინფორმაცია.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად რაიონულმა სასამართლომ მიუთითა გ. კ-ძესა და თ. ხ-ძეს შორის 1998 წლის 26 მარტს სანოტარო წესით დამოწმებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, გ. კ-ძემ თ. ხ-ძეს მიჰყიდა კოოპერატივი "...", რომელიც შედგებოდა დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობების, საზღვების ობიექტისა და მიწის ნაკვეთის საერთო ფართობით - 6600 კვ.მ-საგან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი სასამართლოს არ აძლევდა ხსენებული დასკვნის გაკეთების საფუძველს, ვინაიდან საქმეში არსებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ასლი შეიცავდა ჩამატებას, მათ შორის, მითითებას 6600 კვ.მ მიწის ფართზე. სწორედ ჩამატებები ხელშეკრულებაში გახდა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ამავ დროს საქმეში იყო ყველა რეკვიზიტის შემცველი იმავე ხელშეკრულების ასლი, რომელშიც სადავო 2440 კვ.მ მიწის ნაკვეთი არ ფიგურირებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს არ გააჩნდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურისათვის სათანადო ჩანაწერის შესრულების დავალდებულების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება თ. ხ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 და მე-19 მუხლები. საქმეში წარმოდგენილია ყიდვა-გაყიდვის ორი ხელშეკრულება - ერთი ხელნაწერის სახით, ხოლო მეორე - ნაბეჭდი. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო ხელნაწერი ხელშეკრულება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია და დაადგინა, რომ ძირითადი მტკიცებულება არ იძლეოდა ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს და მიუთითა ნაბეჭდი ხელშეკრულების ასლზე.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოითხოვა სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების დედანი და მესამე პირად არ ჩააბა ნოტარიუსი, რომლის მიერაც იქნა გაფორმებული კოოპერატივ "...-ის" ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და რომელთანაც ინახებოდა ხსენებული ხელშეკრულების დედანი. კასატორის განმარტებით, მითითებული საპროცესო ნორმის გამოყენებით სააპელაციო სასამართლო სწორ შეფასებას მისცემდა მტკიცებულებებსა და ფაქტებს.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ერთობლიობაში არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ მიუთითა სამართლებრივი საფუძველზე - კანონსა და სამართლის ნორმაზე, რომელიც არ აძლევდა უფლებას რაიონულ სასამართლოს, მიედო აღნიშნული გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული

თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 29 იანვრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 2 აპრილს, 11.30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით თ. ხ-ძის საკასაციო საჩივრის განხილვის თარიღი გადაინიშნა და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 10 აპრილს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 9 თებერვლის -11/018 წერილით თ. ხ-ძეს წერილის პასუხად ეცნობა, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, კერძოდ, 2005 წლის 7 დეკემბერს წარდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება (649/189; 16.03.1998წ.) აბსოლუტურად განსხვავდებოდა მის მიერ 2006 წლის 3 თებერვალს წარდგენილი 16.03.1998 წლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან. განმცხადებელს განემარტა, რომ ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი დედნის ან დამოწმებული ასლის სახით. საქმეში წარმოდგენილი იყო ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 18 თებერვლის -08/046 წერილი, რომლითაც თ. ხ-ძეს 2006 წლის 13 თებერვლის განცხადებაზე განმეორებით ეცნობა, რომ უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის მას უნდა წარმოედგინა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი მიწის ფართზე (2440მ²-ზე). რაც შეეხება თ. ხ-ძის მიერ წარმოდგენილ, 1998 წლის 16 მარტის -649/189 ხელშეკრულებას, იგი არ იყო კანონმდებლობიდან გამომდინარე სრულყოფილი ხელშეკრულება, ვინაიდან არ უნდა ყოფილიყო შესწორებული, გადასწორებული ან ჩამატებული.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ახალციხის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის მიერ გ. კ-ძესა და თ. ხ-ძეს შორის 1998 წლის 16 მარტს დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ორი ხელშეკრულება (-649/189). ხელნაწერი ხელშეკრულების თანახმად, გ. კ-ძემ თ. ხ-ძეს მიჰყიდა კოოპერატივი "...", რომელიც შედგებოდა დაუმთავრებელი ავტოგასამართი სადგურის, საზღვების ობიექტისა და მიწის ნაკვეთისაგან, საერთო ფართობით - 6600 კვ.მ, ხოლო ნაბეჭდი ხელშეკრულების თანახმად, გ. კ-ძემ თ. ხ-ძეს მიჰყიდა კოოპერატივი "...", რომელიც შედგებოდა დაუმთავრებელი ავტოგასამართი სადგურისა და საზღვების ობიექტისაგან, რომლის საერთო ფართობი იყო 64,60 კვ.მ

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო 1998 წლის 16 მარტის -649/189 ხელნაწერი ხელშეკრულება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია და განმარტა, რომ საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ძირითადი მტკიცებულება არ იძლეოდა ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, ვინაიდან ხსენებული ხელშეკრულების ქსეროასლი შეიცავდა ჩამატებას, მათ შორის, მითითებას 6600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, საქმეში იყო ყველა რეკვიზიტის შემცველი იმავე ხელშეკრულების ასლი, რომელშიც სადავო მიწის ნაკვეთი არ ფიგურირებდა, რის გამოც სასამართლომ არ გააჩნდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურისათვის სათანადო ჩანაწერის შესრულების დავალდებულების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულება და ისე მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად 1998 წლის 16 მარტის -649/189 ხელნაწერი ხელშეკრულება, რომ არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლითა და მე-19 მუხლის პირველი ნაწილით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საკუთარი ინიციატივითაც შეგრო-

ვების თაობაზე. ამასთან, არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი 1998 წლის 16 მარტის - 649/189 ხელნაწერი ხელშეკრულების დედანი (ძირითად საქმეზე დართული სწრაფჩამკერი, რომელიც ასევე შეიცავდა ჩამატებას 6600 კვ.მ საერთო ფართობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ იყო დაფიქსირებული 1998 წლის 16 მარტის -649/189 ნაბეჭდი ხელშეკრულების ასლზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ დაკითხა ნოტარიუსი, რომლის მიერაც იქნა გაფორმებული კოოპერატივ "...-ის" ყიდვა-გაყიდვის სადავო ხელშეკრულება და ვისთანაც ინახებოდა სადავო ხელშეკრულების დედანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის "გ" და "ე" ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად კი გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა და შეფასება

განჩინება

-ბს-792-761 (2კ-08) 27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქ. ქუთაისის მერიის 12.12.1997წ. -709 ბრძანების, ტექნიკური ინჟინერიის ბიუროს 29.06.1998წ. ჩანაწერის, აგრეთვე, ქ. ქუთაისის მერიის 12.10.2004წ. -38 დადგენილების ნაწილის ბათილად ცნობა, არასაცხოვრებელი ფართის ი. ყ-შვილის სახელზე აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ყ-შვილმა და რ. ჩ-ძე-ჭ-შვილმა 24.11.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - ქუთაისის მერიის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს: ქ. ქუთაისში, ... ქ. -42-ში (ყოფილი -36-ში) მდებარე შენობის ნაწილის პირველადი ინვენტარიზაციით საავიაციო ქარხნის ბაგა-ბადის ბალანსზე აღრიცხვის შესახებ ქ. ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 29.06.98წ. განხორციელებული ქმედების უკანონოდ ცნობა და მოპასუხისათვის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესწორების შეტანის დავალება; ქ. ქუთაისის მერიის დადგენილების და დანართის იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომლებიც ეხებოდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის -42-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას; მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქ. ქუთაისში, ... ქ. -42-ში (ყოფილი -36-ში) მდებარე 1400 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე აგებული ორსართულიანი, 360 კვ.მ ფართის სახლის, საკუთრების უფლებით რეგისტრაციის დავალება აწ გარდაცვლილ ი. ე.-ძე ყ-შვილის სახელზე და ქ. ქუთაისის მერიის დადგენილებისა და თანდართული ნუსხის სასამართლოს მიერ გამოთხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 17.02.06წ. გადაწყვეტილებით ს. ყ-შვილისა და რ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 29.06.1998წ. განხორციელებული ქმედება, კერძოდ, ქ. ქუთაისში, ... გამზირის -42-ში (ყოფილი -36-ში) მდებარე შენობის დასავლეთი ნაწილის პირველადი ინვენტარიზაციით საავიაციო ქარხნის ბაგა-ბადის "... მუნიციპალიტეტის" ბალანსზე აღრიცხვის ჩანაწერი და მისი თანმდევი შედეგები, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიის 12.10.04წ. -38 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ... გამზირის -36/ა-ში (ამჟამად -42-ში) მდებარე არასაცხოვრებელი 219,66 კვ.მ-ის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას მისი თანმდევი შედეგებით; იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დავალება, თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით, მოახდინოს ქ. ქუთაისში, ... გამზირის -42-ში (ყოფილი -36-ში) მდებარე არასაცხოვრებელი 219,66 კვ.მ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია ი. ყ-შვილის სახელზე; ქ. ქუთაისის მერიას და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის - 30 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 17.02.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველომ და ქ. ქუთაისის მერიამ. სააპელაციო პალატის 09.06.2006წ. განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუვსებლობის გამო. 18.07.06წ. განჩინებით სააპელაციო პალატის მიერ

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დავის საგნის გაზრდა, კერძოდ ქ. ქუთაისის მერიის 12.12.1997წ. -709 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ საკითხის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის 08.11.06წ. განჩინებით სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს კერძო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით ნაწილობრივი გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.07.06წ. განჩინება, საქმეში მესამე პირად იქნა ჩართული ფ. ა-ძე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.07.06წ. განჩინება თ. ა-იანის საქმეში მესამე პირად ჩაბმავზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.07წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სააპელაციო საჩივარი - დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 17.02.06წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად; დაკმაყოფილდა ს. ყ-შვილისა და რ. ჭ-შვილის სარჩელი - ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიის 12.12.97წ. -709 ბრძანება "ს/ს ..." სოციალური, კომუნალური და კულტურული დანიშნულების ობიექტების მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ" იმ ნაწილში, რომელიც ეხება ... გამზირის -42-ში მდებარე ნაგებობის არასაცხოვრებელი 219.66 კვ.მ-ის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემას თანმდევი შედეგებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.12.2007 წ. განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2007წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებით დაკმაყოფილდა ს. ყ-შვილისა და რ. ჭ-შვილის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიის 12.12.1997 წ. -709 ბრძანება ... გამზ. -42-ში მდებარე ნაგებობის არასაცხოვრებელი 219,66კვ.მ-ის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემასთან დაკავშირებით. საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2008წ. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი, ქ. ქუთაისის სასამართლოს 17.02.2006წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში დარჩა უცვლელი, დაკმაყოფილდა ს. ყ-შვილისა და რ. ჭ-შვილის სარჩელი - ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიის 12.12.97წ. -709 ბრძანება "ს/ს ..." სოციალური, კომუნალური და კულტურული დანიშნულების ობიექტების მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ" იმ ნაწილში, რომელიც ეხება ... გამზირის -42-ში მდებარე ნაგებობის არასაცხოვრებელი 219.66 კვ.მ-ის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემას თანმდევი შედეგებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 16.01.1920წ. ი. ყ-შვილსა და დ-ძე-კ-კებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ცნობით გატარებულ იქნა სანოტარო არქივის რეგისტრაციაში, ე.წ. სიმაგრის წიგნში. ხელშეკრულებაზე გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნასყიდობის შესახებ -217 სანოტარო აქტი რეგისტრირებულ იქნა 1920 წლის -1 სიმაგრის წიგნში.

სარქივო ცნობების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1927წ. ქ. ქუთაისის ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი სახელების სიაში -133 და -134 შეტანილი, ყოფილა ... ქ. -40-ში მდებარე -141 და -142 სახლები არ წარმოადგენენ დავის ობიექტს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ყოფილი ... ქ. -40-ში, ამჟამად ... გამზ. -42-ში სამი ორსართულიანი სახლი მდებარეობს, ისინი ერთმანეთზე მიბჯენითაა აშენებული და გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელები. ნაციონალიზაციაქმნილი შენობათა სიაში არ არის მითითებული ი. ყ-შვილის კუთვნილი სახლი. არ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა 1998 წლამდე სახლის რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაზე აღრიცხვას.

საქმეზე დადგენილად იქნა ცნობილი, რომ ი. ყ-შვილის 05.09.1940წ. გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს სოფ. ... მდებარე სახლი მემკვიდრეობით მიღებული აქვთ ფაქტობრივი ფლობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მე-რიის და ტექნიკურიზაციის ბიუროს ქმედების და ადმინისტრაციული აქტების ბათილობა, თანმდევით შედეგებით. ამ მოთხოვნის დაყენებით მოსარჩელე ითხოვს 1997 წლამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას, რის საფუძველზე ითხოვს ი. ყ-შვილის სახელზე საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციას. სარჩელი არ განეკუთვნება არც აღიარებით და არც ვინდიკაციურ სარჩელს. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 16.01.1920წ. ი. ყ-შვილის მიერ შესყიდული ფართი არ ჩამორთმეულა, 1923 სკ-ის მუხლებზე მითითებით სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ საცხოვრებელ სახლზე კერძო საკუთრების უფლება არ გაუქმებულა, საქართველოს სსრ რევკომის 14.05.1921წ. -35-ე დეკრეტის, სახკომსაბჭოს 1924წ. -6 დეკრეტის თანახმად, სახლის ჩამორთმევისათვის საჭირო იყო ცალკე აქტის გამოცემა. მოპასუხებმა ვერ წარმოადგინეს სადავო ობიექტის ჩამორთმევის, მუნიციპალურ საკუთრებაში აყვანის რაიმე დოკუმენტი. ქონება შედიოდა ი. ყ-შვილის სამკვიდრო მასაში. ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები დაუფლნენ სამკვიდრო ნაწილს, სოფ. ... მდებარე მამულს და მოძრავ ქონებას, რაც, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ნიშნავდა ქ. ქუთაისში ... გამზ. -42-ში (ყოფილი -36) მდებარე სახლის დაუფლება-საც. სასამართლომ აღნიშნა, რომ სკ-ის 1421-ე მუხლის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო. 1923წ. სკ-ი არ ითვალისწინებდა ამგვარ დათქმას, მაგრამ გულისხმობდა გერმანული სამართლოს ამ პრინციპს. აღნიშნულს ადასტურებს სსრკ უზენაესი სასამართლოს 10.04.1957წ. -2 და 01.07.1966წ. -6 პლენუმის დადგენილებები. იმის დასადასტურებლად, რომ სახლის რეგისტრაცია მემკვიდრეებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ, სასამართლომ მიუთითა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.09.1951წ. -36/828 დადგენილებაზე. მართალია, 1923წ. სკ-ის 182-ე მუხლი ზღუდავდა პირის მიერ მეორე ბინის ყიდვის უფლებას, მაგრამ კოდექსი არ არეგულირებდა ორი ან მეტი ბინის მემკვიდრეობის შედეგად მიღებას. ვინაიდან ნასყიდობა 1920წ. იყო დადებული, გატარებულ იქნა სანოტარო არქივის რეგისტრაციაში და მასზე არ ვრცელდება 1923წ. სკ-ის ნორმები. რაც შეეხება 1964წ. სკ-ის 104-ე და 105-ე მუხლს, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კოდექსის შემოღების დღისათვის ი. ყ-შვილის მემკვიდრეები სრულწლოვნები იყვნენ. გარდა ამისა, მეორე სახლის ჩამორთმევისათვის საჭირო იყო აღმასკომის გადაწყვეტილების მიღება და სააღსრულებო წარმოების ჩატარება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება ქარხნის ბალანსზე სადავო ფართის ყოფნა. ობიექტი არ შესულა სს-ის საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების სიაში. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულების ძალა არ მიანიჭა ქარხნის დირექტორის 10.12.07წ. -264 წერილს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მერიის 12.12.97წ. -709 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის მიხედვით საბავშვო ბაღი არ ყოფილა ქარხნის ბალანსზე და მუნიციპალიტეტისათვის მისი გადაცემა არ მომხდარა. სკ-ის 183-ე მუხლის დარღვევით სადავო ობიექტის პირველადი რეგისტრაცია სააღრიცხვო ბარათში იურიდიული საფუძვლის გარეშე განხორციელდა 29.06.1998წ., სკ-ის 1514-ე, 1515-ე მუხლების, აგრეთვე, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარის 10.01.98წ. -2-5 ბრძანების შესაბამისად, ტექნიურ არ იყო უფლებმოსილი, ასეთი ჩანაწერის განხორციელებაზე. შესაბამისად, ამ სააღრიცხვო ჩანაწერის შედეგად გამოცემული, მერიის 12.10.04წ. -38 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ფართის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანას ეხება.

რაც შეეხება მერიის 12.12.97წ. -709 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობას, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბრძანების გამოცემამდე უნდა შესწავლილიყო ქარხნის ბალანსზე აღრიცხული ობიექტები, ბრძანებაში მითითებულია, რომ ქარხნის ბალანსზე აყვანილ იქნა 31 ობიექტი, მათ შორის საბავშვო ბაღი (-17). ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ ქარხნის ბალანსიდან მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადასცა 30 ობიექტი, გარდა სადავო ობიექტისა. მინისტრთა კაბინეტის 12.04.1993წ. -228 დადგენილების 1.5 პუნქტის თანახმად, სს-ის დაფუძნებისას მის ბალანსზე რიცხული სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ღირებულება არ შეიტანებოდა სს-ის საწესდებო კაპიტალში და, შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. სახელმწიფო მეთაურის 28.07.95წ. -292 ბრძანებით დამტკიცებული "ქალაქ ქუთაისის მმართველობის შესახებ" დებულების თანახმად, მერი უფლებამოსილი იყო, აეყვანა მუნიციპალურ საკუთრებაში სახელმწიფო ქონება, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მერიას არ წარმოუდგენია არცერთი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა კერძო სახლის სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 12.12.97წ. -709 ბრძანება, ტექნიურს ჩანაწერი მოსარჩელეების მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებშია გასაჩივრებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს ქ. ქუთაისის მერიამ და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს რაჭა-ლეჩხუმი-იმე-

რეთის სამხარეო სამმართველომ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქ. ქუთაისის მერია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სახლის ჩამორთმევის ფაქტი უდავოდ დასტურდება სოფ. ... საბჭოს კრების 11.04.1926წ. ოქმით. ი. ყ-შვილის გარდაცვალების დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამკვიდროს ნაწილის ფაქტიური დაუფლების გამო მთელი სამკვიდროს მიღებულად ცნობას. 1923 წ. სკ-ის 182-ე და 1964წ. სკ-ის 104-ე მუხლები არ ითვალისწინებდა რამოდენიმე საცხოვრებელი სახლის პირის საკუთრებაში ყოფნის შე-საძლებლობას. საქმეში დაცული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მერიის 12.10.04წ. -38 დადგენილების მიღების დროს სადავო ფართი სხვა პირის საკუთრებად იყო რე-გისტრირებული. კასატორი თვლის, რომ საპრივატიზებო ობიექტის ნუსხის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს არა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-9 მუხლით, არამედ, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა. კასატორი თვლის, აგრეთვე, რომ ხანდაზმულობის ვადის გაცდენით არის დასმული 12.12.1997წ. -709 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველო საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მერიის 12.10.04წ. -38 დადგენილების მიმართ მოსარჩელები არ წარმოადგენდნენ დაინტე-რესებულ მხარეს, რის გამო არ არსებობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი ჩართვის საჭიროე-ბა. არ დარღვეულა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის 9.3 მუხლის მოთხოვ-ნა, ვინაიდან ეს მუხლი ითვალისწინებს არა საპრივატიზაციო ნუსხაში შესატან, არამედ საპრივა-ტიზებო მასალების დასრულების შემდეგ უკვე კონკურსის ან აუქციონის შესახებ ინფორმაციაში შე-სატან მონაცემებს. ხანდაზმულობის ვადის ათვლა ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან უნდა დაიწ-ყოს. სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გამოკვლევის გარეშე დაადგინა, რომ უძრავი ქონების მუ-ნიციპალიტეტის სახელზე აყვანა მოხდა იურიდიული საფუძვლის გარეშე. სადავო ქონების ქარხნის ბალანსზე არსებობის დასადასტურებლად წარდგენილ იქნა დამატებითი მტკიცებულებანი, რომლე-ბითაც დასტურდება, რომ 1940 წელს სამხედრო-საავიაციო ჯარების სარდლის ბრძანებით შეიქმნა საავიაციო - ტექნიკური სახელოსნო, რომელსაც 25.10.1940წ. -305 ბრძანებით ეწოდა -305 სტაციონალური სახელოსნო, ხოლო 10.08.1946წ. სამხედრო-საავიაციო ბაზა. 07.09.1956წ. ქარხანა შეყვანილ იქნა სსრკ სამხედრო-საჰაერო ძალების დაქვემდებარებაში. საქართველოს რეს-პუბლიკის პრემიერ-მინისტრის 21.12.92წ. -968 განკარგულებით შეიქმნა ქუთაისის საავიაციო-სა-რემონტო ტექნიკური ქარხანა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 05.07.1995წ. ბრძანებით მას მიენიჭა ს.ნ. -45430. საქართველოს პრეზიდენტის 19.05.1997წ. -170 განკარგულებით ქარხნის ხელმძღვანელობას ქარხნის აქციონირების ნება დაერთო. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 05.07.1997წ. -241 ბრძანების და ქ. ქუთაისის მერიის 30.07.1997წ. -392 ბრძანების საფუძ-ველზე მერიის კომისიას გადაეცა ქარხნის (სამხედრო ნაწილი -45430) ქონების ჩაბარება, რომელ-შიც 96-ე ნომრად მითითებულია საბავშვო ბაღი. 28.07.1997წ. -50 ბრძანებით შეიქმნა საპრივა-ტიზებო კომისია, რომელსაც დაევა ქონების ინვენტარიზაცია და საპრივატიზებო მასალების მომზადება, კომისიის 01.09.1997წ. მდგომარეობით, ქარხნის ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის ღირებულების შეფასებითაც დგინდება, რომ აღნიშნული პერიოდისათვის ბაგა-ბაღი ირიც-ხებოდა ქარხნის ბალანსზე. 30.09.1997წ. შემუშავდა პრივატიზების გეგმა, რომლითაც გადაწყვედა პრივატიზებას არდაქვემდებარებული სოციალური და კულტურული ობიექტების მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემა. სწორედ ამის შემდეგ იქნა მიღებული მერიის 12.12.1997წ. -709 ბრძანება. სადავო შენობის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემა დასტურდება, აგრეთვე, ქარხნის 06.11.01წ. -270, 10.12.07წ., -264 წერილებით. სააპელაციო სასამართლომ სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დაუცველად განიხილა საქმე, გადაწყვეტილება გამოიტანა მტკიცებულებე-ბის შეფასების გარეშე. სადავო ფართის აყვანა მუნიციპალურ საკუთრებაში განხორციელდა იმ პე-რიოდში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მერიის 12.12.1997წ. -709 ბრძანების და, შესაბამისად, ტექნიკურს ჩანაწერის და მერიის 12.10.04წ. -38 დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველი. მოსარჩელებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვამდეც (23.09.04წ.) იყო ცნობილი სადავო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შე-საბამისად, 12.12.97წ. -709 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა ხანდაზმულია. კასატორი არ ეთანმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქონება არ ჩამორთმეულა, ჩა-მორთმევას ადასტურებს 11.04.1926წ. ... საბჭოს კრების ოქმი. 1923წ. სკ-ის 44-ე, 45-ე მუხლების, ამჟამად მოქმედი სკ-ის 143-ე, 198-ე მუხლების საფუძველზე კასატორი თვლის, რომ მოსარჩელებს გაცდენილი აქვთ ხანდაზმულობის ვადა. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.12.08წ. განჩინებით ქ. ქუთაისის მერიისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორების წარმადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრებს და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი საკასაციო საჩივრების საფუძვლები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის და დაუსაბუთებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრების ნაწილობრივი დაკმაყოფილებით უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის ყველა გარემოება არ არის სათანადოდ გამოკვლეული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ 16.01.1920წ. ხელშეკრულება გატარდა ე.წ. სიმაგრის წიგნში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დასტურდება ქუთაისის სახელმწიფო არქივის 08.11.05წ. ცნობით, მაშინ, როდესაც ხსენებული ცნობის მიხედვით, საარქივო დოკუმენტურ მასალებში ი. ყ-შვილსა და ა. და ვ. კ-კების მამულისა და სახლის ყიდვა-გაყიდვა არ დასტურდება. საარქივო ცნობა არ შეიცავს ქუთაისის ნოტარიუსის ვ. ყ-შვილის სიმაგრის წიგნის, კერძოდ, 1920წ. -1 წიგნის დაკარგვის შესახებ ინფორმაციას. სიმაგრის წიგნში ხელშეკრულების გატარება სასამართლომ დაადგინა მხოლოდ ხელშეკრულებაზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული, საარქივო დოკუმენტების ხშირად დაკარგვის და განადგურების ფონზე საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია, თუმცა იგივე არგუმენტი არ გამოიყენა სადავო ფართის ნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატას არ დაუდგინა თვით 1920წ. -1 წიგნის დაკარგვის ფაქტი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 16.01.1920წ. ნასყიდობის ხელშეკრულება გატარებულ იქნა სანოტარო არქივის რეგისტრაციაში, ე.წ. სიმაგრის წიგნში, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ხსენებულ გარემოებას მნიშველობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის, ვინაიდან სიმაგრის წიგნში ხელშეკრულების გატარება წარმოადგენდა მისი ძალაში შესვლის და, შესაბამისად, მისი ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაციაქმნილი ქონების სიაში მითითების პირობას. სასამართლოს არ უმსჯელია, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცული ხელშეკრულებების ტექსტის თანახმად, იგი დამტკიცებულია არა ნოტარიუსის, არამედ, მისი თანაშემწის მიერ, სასამართლოს არ დაუდგინა თანაშემწის უფლებამოსილება უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადასტურებაზე.

ხემაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ფართი არ ყოფილა ნაციონალიზებული. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა საარქივო ცნობებით, მას არ გამოუთხოვია და არ განუხილავს სახელმწიფო ცენტრალური არქივის მასალა... ქ. -40-ში მდებარე სახლების ჩამორთმევის თაობაზე, რომელშიც განთავსებული იყო საარტილერიო პოლკი. დოკუმენტი შეიცავს ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების მდებარეობის, კერძოდ, -133 და -134 ნომრებით შეტანილი სახლების აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით მდებარე ობიექტების აღწერას, რაც იძლევა ნაციონალიზაციაქმნილი ფართის დადგენის შესაძლებლობას. საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის, ექსპროპრირებული ფართის ზუსტი დადგენის მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული მტკიცებულება საქმის მასალებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. ჩამორთმეული ქონების დადგენას ხელს შეუწყობდა აგრეთვე მ. დ-მის და კ-კების ქონების ჩამორთმევის აქტების გამოთხოვა და შესწავლა.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ფართი არასოდეს ყოფილა აღრიცხული ქარხნის ბალანსზე და რომ ქარხნის ბალანსიდან, სადავო ობიექტის გარდა, ყველა ობიექტი იქნა გადაცემული. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ამიერკავკასიის სამხედრო-საავიაციო ჯარების სარდლის 08.07.1940წ. -1 ბრძანებით შეიქმნა -150 საავიაციო-ტექნიკური სახე-

ლოსნო. სახელოსნოს 25.10.1940წ. ეწოდა -305 სტაციონალური სახელოსნო, ხოლო 10.08.1946წ. სამხედრო-საავიაციო ბაზა. 07.09.1956წ. ქარხანა შეყვანილ იქნა სამხედრო-საჰაერო ძალების დაქვემდებარებაში. ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის გადაცემის თაობაზე შედგენილი 18.12.1992წ. აქტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ 34-ე საჰაერო არმიისაგან მიიღო ქარხნის შენობა-ნაგებობები და საცხოვრებელი ფონდი. გადაცემის აქტს თან ერთვის დანართი 206 ფურცლად, რომელიც შედგება მოხსენებებისა და საინვენტარიზაციო აღწერებისაგან. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუთხოვია და არ შეუფასებია აღნიშნული დოკუმენტაცია, მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო ფართი არასოდეს ყოფილა აღრიცხული ქარხნის ბალანსზე, არ ემყარება საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა სრულყოფილ გამოკვლევას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 21.12.1992წ. -968 განკარგულებით შეიქმნა ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხანა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 05.07.1995წ. ბრძანებით მას მიენიჭა ს.ნ. -45430. საქართველოს პრეზიდენტის 19.05.1997წ. -170 განკარგულებით ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის ხელმძღვანელობას ქარხნის აქციონირების ნება დაერთო. სააპელაციო პალატას წარედგინა მიღება-ჩაბარების -2 აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 19.05.1997წ. -170 განკარგულების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 05.07.1997წ. -241 ბრძანების, მერის 30.07.1997წ. -392 ბრძანების საფუძველზე მიმდებს - ქ. ქუთაისის მერიის კომისიას ჩაჰბარდა ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის ქონება, გადაცემული ქონების ჩამონათვალში 96-ე ნომრად მითითებულია, ექსპლუატაციაში 1902 წელს მიღებული, 4577,76 ლარის საბალანსო ღირებულების საბავშვო ბაღი. გარდა ამისა, სააპელაციო პალატას წარედგინა, აგრეთვე, ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის 28.07.1997წ., -50 ბრძანებით შექმნილი საპრივატიზებო კომისიის საინვენტარიზაციო მასალები, კერძოდ, ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობათა და გადასაცემი მოწყობილობათა) ღირებულების შეფასების აქტი, რომლის მიხედვით, 1997 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ბაგა-ბაღი (-93) იმყოფებოდა ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის ბალანსზე. სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს არ მიუცია შეფასება ხსენებული მტკიცებულებებისათვის, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია აღნიშნული დოკუმენტაცია, რითაც საქმეზე არ იქნა გამოკვლეული ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა დავის გადაწყვეტის შედეგზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა ს/ს ... ქარხნის დირექტორის 10.12.2007წ. -264 წერილი, რომელსაც სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულების ძალა არ მიანიჭა. აღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ საბავშვო ბაღის შენობა ქარხნის ბალანსზე ირიცხებოდა 1969 წლიდან შენობა გადმოტანილი იყო "კეჩის" ბალანსიდან, 12.12.1997 წ. -709 ბრძანების საფუძველზე საბავშვო ბაღის შენობა გადაეცა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში და მოიხსნა ქარხნის ბალანსიდან. საქმეში წარმოდგენილი კომუნალურ-საექსპლუატაციო ნაწილის ("კეჩი") 09.01.1991 წ. -31 ცნობით და 15.10.1991 წ. წერილით, დგინდება, რომ ცნობის გაცემის მომენტისათვის საბავშვო ბაღი, მდებარე ... გამზ. -54-ში, "კეჩის" ბალანსზე არ ირიცხებოდა. საქმეში წარმოდგენილია ქარხნის საპრივატიზაციო მასალა, სადაც მითითებულია, რომ ქ. ქუთაისის მერის 12.12.1997 წ. -709 ბრძანების გამოცემამდე 01.09.1997 წ. მდგომარეობით საბავშვო ბაღი ირიცხებოდა ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის ბალანსზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ქუჩას, სადაც მდებარეობს სადავო ფართი, სხვადასხვა წლებში სხვადასხვა დასახელება ჰქონდა და პერმანენტულად იცვლებოდა ნუმერაცია (ბაღის ქ., ... ქ. -40, ... 36, 42,54), საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის გარემოებათა სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, წლების მიხედვით უნდა დადგინდეს ქუჩის დასახელება და სადავო ფართის ნუმერაცია, მით უფრო, რომ ხსენებული გარემოება საფუძველად ედო ქ. ქუთაისის მერის 12.10.04წ. -38 დადგენილების სადავო ნაწილის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნას. მოსარჩელის მოსაზრებით გასაჩივრებულ დადგენილებაში საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში სადავო ფართის მისამართის არასწორად მითითება დადგენილების უპირობოდ ბათილობის საფუძველია. აღნიშნული გარემოება გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ ისე, რომ არ არის გამოკვლეული ქ. ქუთაისის მერის დადგენილებაში მისამართად - ... გამზ. -36 "ა-ს" მითითების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულია ასკ-ს მე-4, მე-19 მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ არის გამოკვლეული და შეფასებული საქმის გარემოებები. ამდენად, სააპელაციო პალატის განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, საქმის ყველა გარემოების სრულყოფილ

დადგენას, რის გამოც საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ქუთაისის მერიის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2008წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.